# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხელის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 12 ოქტომბერი, 2013 წელი.

№197 (7324)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


# 14 ოქტომბერს მცხეთობა-სვეტიცხოვლობაა, გილოცავთ!



4

## გიორგი ცაგარეიშვილი: „მსურს, მეორე ადგილზე ნინო ბურჯანაძე გავიდეს“

## ნაციონალური „მრისხანება“

3



## ბილწ აკაკაქთა „აგულავება“

5

## „კარგი ცხოვრება მოდის და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ!“

როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა გუშინ ვერის ბაღში შეხვედრაზე ამომრჩეველს უთხრა, წინასაარჩევნო 100-ზე მეტი შეხვედრიდან ყველაზე შთამბეჭდავი ეს უკანასკნელი იყო. ძირძველ თბილისელებთან, ვერელებთან, მთაწმინდელებთან კანდიდატი აშკარად ცდილობდა, გულწრფელი ყოფილიყო და არც თბილ სიტყვებს არ იშურებდა საზოგადოების გულის ასაჩუყებლად. „თბილისი ის ქალაქია, რომელიც ყოველთვის ქმნიდა და ცვლიდა ხოლმე პოლიტიკურ კლიმატს. ბევრი ეცადნენ, მაგრამ ვერ გატეხეს. ბედნიერებაა, რომ ამ ერთი წლის წინათ მშვიდობიანად წავართვით ხელისუფლება იმ მოძალადეს, რომელიც სისხლის გარეშე არაფერს თმობდა. იცით, მაშინ რამდენი ეჭვი იყო, მაგრამ ძალა ჩვენს სასარგებლოდ კარგად და საინტერესოდ გათვალა ბატონმა ბიძინამ და ხელისუფლებაც ღირსეულად ჩავიბარეთ.

მარგველაშვილმა კიდევ ერთხელ ვრცლად ისაუბრა იმ წარმატებებზე, რაც „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა: სოფლის მეურნეობა, საყოველთაო დაზღვევის პროგრამა, სოციალური პროექტი, უფასო სახელმძღვანელოები და სხვა. თანაც აღნიშნა, რომ ერთ ფრონტზე ნაციონალებთან კოჰაბიტაციაში მყოფებს ბრძოლა უწევდათ ყოველი დასახული მიზნის განსახორციელებლად. „რთული წელიწადი გვქონდა. ისეთივე რთული იყო იგი ხელისუფლებისთვისაც, როგორც საზოგადოებისთვის. თუმცა, ამას ბიძინა იმთავითვე ვარაუდობდა“. ეს ყველაფერი 27 ოქტომბერს დამთავრდება და 28-დან სულ სხვა ცხოვრება დაიწყება, — დადო პირობა მარგველაშვილმა და საზოგადოებამ მქუხარე ტაში არ დააყოვნა.

პრეზიდენტობის კანდიდატი მარტო არ მოსულა. მას მოჰყვნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, დეპუტატი ზაზა პაპუაშვილი, მსახიობები გივი ბერიკაშვილი და კახი კავსაძე. შორიახლო ტრიალებდნენ „უცნობი“ — გია გაჩეჩილაძე და ჟურნალისტი შალვა რამიშვილი. აქტიურობდა დეპუტატი ნუკრი ქანთარია...

როგორც ყოველთვის ორიგინალური იყო კახი კავსაძე: „დღეს კორესპონდენტმა მკითხა, რატომ



მოხვედიო? დიდი პაუზის შემდეგ ვუპასუხე: იმიტომ-მეთქი!

— ეს როგორ გავიგოო?

— მოვედი, რომ აქ ასე გამოვხატო ჩემი ყოფნა-არყოფნა-მეთქი!“

მოკლედ, იმედიანად მოსულ საზოგადოებას ოცნების გასხივოსნებული ნიაღვარი კიდევ ერთხელ გადაესხა. არ ვიცი, ყველამ დაიჯერა თუ არა გივი ბერიკაშვილის სიტყვები, რომელიც ირწმუნებოდა, რომ „კარგი ცხოვრება მოდის და ხელიდან არ უნდა გავუშვათ!“

**თეა მოსია**

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ვის დავუჯეროთ?

## რატომ არ ეთანხმება ხადური საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზს?

**ნოდარ ხადური საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზს დასაქმების შემცირებასთან დაკავშირებით წარმოუდგენელს უწოდებს. როგორც ფინანსთა მინისტრმა თემის კომენტირებისას განაცხადა, საქართველოს მთავრობა სსფ-ის დასკვნებს სხვა მიმართულებებითაც არ ეთანხმება.**

— ჩემი გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ სრულიად წარმოუდგენელი პროგნოზი დაიდო სავალუტო ფონდის მიერ დასაქმების შემცირებასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე საერთოდ არ ყოფილა კომუნიკაცია საქართველოს მთავრობასთან და ფინანსთა სამინისტროსთან. არანაირი ფაქტობრივი მონაცემი არ ადასტურებს იმას, რომ შესაძლოა, რაიმე პრობლემა იყოს, — განაცხადა ხადურმა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ) საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 2,5%-მდე შეუმცირა.

2013 წლის დასაწყისში სსფ — 6%-იან, ხოლო ივნისში 4%-იან ზრდას ვარაუდობდა.

საერთაშორისო ექსპერტების აზრით, ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის შემცირება საქართველოში დეფლაციის წნეხს შეარბილებს, თუმცა, მთავარი რეკომენდაცია პოლიტიკური არასტაბილურობის მოგვარებაა, რათა ქვეყანამ ინვესტორების ნდობა დაიბრუნოს.



საერთაშორისო სავალუტო ფონდის გათვლებით, საქართველოს ეკონომიკის ზრდა მომავალ წელს 5%-ს მიაღწევს. ეს მაჩვენებელი ჩადებულია 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტშიც.

სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო მშპ-სთან მიმართებაში წელს 5%-ით შემცირდება და — 6,5%-ს მიაღწევს.

უმუშევრობის დონე საქართველოში გასულ წელთან შედარებით 1,7%-ით გაიზრდება და 16,7%-ს მიაღწევს. მომავალი წლისთვის სსფ ამ მაჩვენებლის 17,3%-მდე ზრდას ვარაუდობს, რაც სომხეთის შემდეგ დსთ-ის სივრცეში ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.

რთველი — 2013

## მიღებულია ყურძნის რეკორდული რაოდენობა

**მოსახლეობამ წელს 90 ათასი ტონა ყურძენი ჩააბარა, — ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**მისი განმარტებით, ეს არის რეკორდული რაოდენობა, რისი პრეცედენტიც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში არ ყოფილა.**

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ახალი მთავრობისთვის სოფლის მეურნეობა პრიორიტეტი გახდა და ყველაფერი გაკეთდა დარგის განვითარების მიზნით.

შალვა ფიფიას ინფორმაციით, მთავარი შედეგი, რომელზეც სახელმწიფო რთველის განმავლობაში ორიენტირებული იყო, მიღწეულია.

— რთველის მიმდინარეობის პროცესში წელს სახელმწიფო აღარ ყოფილა ძირითადი მოთამაშე და მთავარი როლი ამ პროცესში ჰქონდა კერძო კომპანიებს; სუბსიდირება განხორციელდა ახალი პროგრამით, ვაუჩერების გარეშე და მოხდა ყურძნის ჩამბარებელი ქარხნების პირდაპირი სუბსიდირება; სწორად განისაზღვრა სუბსიდირება სამ სხვადასხვა ინდუსტრიულ ჯიშზე; თანაბარ პირობებში იყვნენ ჩაყენებული დიდი და მცირე ფერმერები, აღარ მომხდარა დიფერენცირება ნაკვეთის ზომების მიხედვით; სახელმწიფომ კომპანიებს საშუალება მისცა, გაეფართოებინათ საწარმოები და მეტი ყურძენი მიეღოთ, — აღნიშნა შალვა ფიფიამ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ინფორმაციით, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს დაემატა კიდევ ერთი კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც 38-მა კომპანიამ დაახლოებით 44 მილიონი ლარი მიიღო.



სოფლის მეურნეობის მინისტრის განმარტებით, ეს მხოლოდ შუალედური ანგარიშია, რადგან რაჭაში რთველი ჯერ ისევ არ დასრულებულა. თუმცა, როგორც შალვა ფიფიამ აღნიშნა, სამინისტრო მოსახლეობას ამომწურავ ინფორმაციას რთველის დასრულების შემდეგაც მიაწვდის.

სიმართლე კი ასეთია...

## უცხოეთის ზოგიერთ ქვეყანაში საარჩევნო უბნები არ გაიხსნება

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილემ დავით ზალკალიანმა განმარტა, თუ რატომ არ გაიხსნება საარჩევნო უბნები საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სამ ქვეყანაში — მოლდოვაში, რუმინეთსა და იორდანიაში.**

როგორც დავით ზალკალიანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, აღნიშნულ სამ ქვეყანაში საარჩევნო კომისიების წევრთა საჭირო რაოდენობა ვერ შეგროვდა. მინისტრის მოადგილის განმარტებით, ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა ძალიან ცოტაა.

მისივე თქმით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საგარეო უწყებიდან სიები დროულად მიეწოდა, ერთადერთი გამონაკლისი იყო ამერიკის შეერთებული შტატები, კერძოდ, ნიუ-იორკის საკონსულოდან დროში განსხვავების გამო, მოხდა სიის დაგვიანებით მიწოდება. ზალკალიანის განცხადებით, მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე საათის დაგვიანებით მოხდა ამ კონკრეტული სიის მიწოდება ცესკო-სთვის, დანარჩენი სიები კი, ცესკოს დროულად მიეწოდა.

რაც შეეხება ფედერაციას იქ 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების გახსნა რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ზალკალიანის განმარტებით, რუსეთთან ქართულ მხარეს არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, ხოლო საარჩევნო უბნების გახსნა ძალიან ბევრ ორგანიზაციულ საკითხთან არის დაკავშირებული.

— გარდა ორგანიზაციული საკითხებისა, არის უსაფრთხოების საკითხებიც. გარდა ამისა, ბოლო არჩევნები, რომელიც ჩატარდა რუსეთის ფედერაციაში, ეს იყო 2003 წელს და მაშინდელი ინფორმაციით მხოლოდ 5 000 კაცი იყო აღრიცხვაზე. საუბარი იმაზე, რომ მილიონობით ადამიანი ვერ მიიღებს მონაწილეობას, არ არის სამართლიანი, გამომდინარე იქიდან, რომ მილიონამდე ქართველს, რომელიც რუსეთში



იმყოფება, იქიდან ძალიან ბევრს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი აქვს. არჩევნებში მონაწილეობას კი მხოლოდ ის პირები იღებენ, ვისაც აქვს საქართველოს პასპორტი და იმყოფება საკონსულო აღრიცხვაზე, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

მისივე თქმით, მაშინ, როდესაც ქვეყანას რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვს, საკონსულოშიც ჰყავს მხოლოდ ორი წარმომადგენელი და ისიც შვეიცარიის სექცია ახორციელებს ამ ფუნქციებს, აქედან გამომდინარე, ეს ძალიან ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული.

**ინტერპრესი**

კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

● რუსების მიერ ოკუპირებულ ზონაში, სადაც ყოველ ათ-თხუთმეტ ნაბიჯში შეიარაღებული ჯარისკაცი დგას და გარანტია არაა, რომ უკლებლივ ყველა ფსიქიკურად გაწონასწორებული და ფხიზელია, ყოველდღიურად იმართება სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების საჩვენებელი... არც ვიცი რა დავარქვა... ვთქვათ, — პერფორმანსები.

ვინაა პასუხისმგებელი და ვინ იძლევა გარანტიას, რომ ერთხელაც, რომელიღაც ოკუპანტ ჯარისკაცში არ გაიღვიძებს ბრეივიკი და...

წარმოსადგენადაც კი ძნელია, რა შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას და რას გავაკეთებთ მერე?! — ჩავრიცხავთ ამ ჯარისკაცს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვიქნებით თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა?!.




შვილებო, თუ მართლა სიკეთე გინდათ ქვეყნისათვის, ყველა ჯურის ავანტიურისტსა და ფსევდოპატრიოტს, ნუ აჰყვებით უაზრო და უშედეგო წამოწყებებში, დარჩით თქვენ-თქვენს სასწავლებელში და სწავლას მიხედეთ.

● აზერბაიჯანში ისევ დემოკრატიამ გაიმარჯვა 84 %—ით, ხო?

● ლევან ადეიშვილი — ეს ერთადერთი პროკურორი რჩება ბაჩო ახალაიას საქმეზე. მომდევნო პროცესი 10 დღის მერეა ჩანიშნული. იმედს ვიტოვებ, რომ ბატონი ლევანი (ია დარჯანიას მსგავსად) სხდომის დაწყების წინ არ აღმოაჩენს, ვისი მეგობარია და გაუგებარი ზეწოლის მოტივით არ დატოვებს პროცესს. მერე მეტყვით, რატომ მართავდით აქციას მთავარი პროკურატურის წინო. აი, ამიტომ ვმართავდით, რომ მწამებელს, სადისტს და მანიაკს ვაშლის გათლას ედავებიან მხოლოდ. მოუმზადებელნი მიდიან პროცესზე და ბოლოს, გამორბიან. პატივცემულო პროკურორებო, ან გემს მიხედეთ, ან პერსონალურად ჩაიძირეთ, მაგრამ ამასობაში ქვეყანას კი ნუ ჩაძირავთ?!

● აშკარა პროვოკაციაზე მიდის, არ აყვეთ!!!!!!!!!!! მას მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება გადაარჩენს, იმიტომ დარბის დიცში და იქიდან გაჰკივის. ფრთხილად, ხალხნო, ფრთხილად! ეს კაცი საშიშია!

● ოცნების მაღალჩინოსნებში უამრავი აგენტი დასახელდა და მარტო საგანელიძემ გამოთქვა პროტესტი და გამოძიება მოითხოვა ამ ბრალდებასთან დაკავშირებით. რა ხდება?! საგანელიძეა „სუფთა კაცი“ და დანარჩენები ნამდვილად „აგენტები“, თუ საგანელიძეს უფრო დიდი „კრიშა“ ყავს?!!!!

ეს ისე, უბრალოდ, ძალიან უბრალოდ ვიკითხე.

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

მოვუაროთ მიწას, გადავარჩინოთ საქართველო!

# პარლამენტში „მიწის მოცდენის“ გადასახადზე ფიქრობენ

**ვინც მიწას არ დაამუშავებს, კეთილი ინებოს და ქონების გადასახადი გადაიხადოს. თუკი სახელმწიფო მიწაზე მოყვანილი პროდუქციით ვერ ხეირობს, მაშინ ბიუჯეტმა მიწის მოცდენის გადასახადით მაინც იხეიროს, — ასეთი აზრი პარლამენტში უკვე გაჩნდა და შეიძლება მალე კანონადაც იქცეს.**

5 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთის მფლობელებს, შესაძლოა,ქონების გადასახადის გადახდა მოუწიოთ. პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის გიგლა აგულაშვილის განცხადებით, მიწის რამდენიმე წლით დაუმუშავებლობის შემთხვევაში, მიწის მფლობელებს გადასახადი დაეკისრებათ.

ამჟამად, 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთის მფლობელები გადასახადისგან გათავისუფლებულნი არიან, 5-ზე ზევით კი, იხდიან გადასახადს იმ განაკვეთების მიხედვით, რომელიც სხვადასხვა რაიონების მიხედვით განსხვავებულია.

„რეგიონებში ბევრს დავდივარ და ვხედავ საკუთრებაში არსებულ მიწის ფართობებს, რომლებიც წლებია არ დაუმუშავებიათ. ეს ბუნებრივია, ქვეყნისა და ჩვენი ხალხის ინტერესებში არ შედის. ამიტომ ვამბობ, თუ პირველ წელიწადს მიწა არ დამუშავდება, ანუ ანეულად რჩება, მოდით, არ გადავახდევინოთ გადასახადი, ხოლო მეორე, მესამე, მეოთხე წელსაც თუ არ დაამუშავა, მაშინ სტანდარტული გადასახადი გადავახდევინოთ“, — განაცხადა აგულაშვილმა.

რამდენად არის გამოსავალი მცირემიწიანი ფერმერების ასამოქმედებლად ქონების გადასახადის შემოღება, რთული სათქმელია. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ბოლო წლებში სოფლის მეურნეობა სულ უკან-უკან წავიდა. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა იყო მიწათმოქმედების კუთხით. ქვეყანაში, სადაც 800 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწაა, ბოლო დროს 200 ათასზე ოდნავ მეტი თუ მუშავდებოდა. გამოდის, რომ მიწების 75% უქმად იყო მიგდებული და მოცდენილი.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორია მოიცავს 7 მილიონ 628 ათას 400 ჰექტარს, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს 3 მილიონ 25 ათას 800 ჰექტარი, ანუ 39,7%. მათგან დიდი ნაწილი საძოვრებისთვის არის განკუთვნილი.



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების 29 321,6 ჰექტარი უცხოელებზეა გაყიდული.

მიწის დამუშავების მხრივ მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა მას შემდეგ, რაც მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი ამოქმედდა, რომლის ფარგლებშიც დამუშავდა 192 ათასი ჰექტარი. სულ კი მიმდინარე სეზონზე მოიხნა და დაითესა 310 ათასი ჰა ფართობი.

გიგლა აგულაშვილის ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დაეხმარა 710 ათასზე მეტ მცირემიწიანი ფერმერს და ჯამურმა თანხამ 195 მლნ ლარს გადააჭარბა. აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტზეც.

„2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, პირველ კომპონენტში 2 700-მდე ბენეფიციარზე გაცემულია 1.1 მლნ ლარის სასაქონლო განვადება; მე-2 კომპონენტში 2 900-მდე ბენეფიციარზე გაცემულია 57 მლნ ლარზე მეტი კრედიტი, ხოლო მე-3 კომპონენტში 226 ბენეფიციარზე გაიცა 29 მლნ დოლარის კრედიტი“, — განაცხადა აგულაშვილმა.

2013 წლის იანვარ-ივლისში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი, 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 10%-ით გაიზარდა. მაგალითად, მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი 52%-ით გაიზარდა და 55 მლნ დოლარი შეადგინა, ხოლო ყურძნის ნატურალური ღვინოების — ექსპორტი 47%-ით გაიზარდა და 47 მლნ დოლარი შეადგინა.

**ეკა ბაქრაძე**

**„მრისხანების“ ახალი ტალღა უვლის სრულიად საქართველოს, თანაც ისე მძლავრად, ნებისმიერი ცუნამი რომ არაფერია მასთან შედარებით. ისე, როგორც ყოველთვის, ამ ოცი წლის განმავლობაში, მრისხანების გამომწვევი მიზეზი კვლავ რუსეთია. ვინ არ მრისხანებს — პარლამენტარები და მთავრობა, არასამთავრობოები და საზოგადოების „უცნობადესი“ სახეები, დიდი თუ პატარა და, რაც მთავარია „ქუჩის პარტიები“ და ექსპერტობა.**

მოკლედ, ერთი მჯიღის ცემაა ატეხილი „პატრიოტულ“ გულზე. კარგა ხანია ესოდენ დამუხტული არ ყოფილა ქვეყნის ის ფენები, სახელმწიფო ტრიბუნებიდან და ელექტრონული თუ ბეჭდვითი მედიიდან რომ გვაფრქვევენ „სიბრძნით“ გაჟღენთილ აზრებს. მაინც ვინ გამოიწვია „ერის და ბერის“ შეხმატკბილებული მრისხანება? ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთმა მეჩირაღდნემ — რუსეთის გმირმა ცხინვალის ომში.

რუსეთის ხელისუფლება, საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლის მიზნით, ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამოყენებას აპირებსო — აცხადებენ „პატრიოტები“. მათ შორის მკვეთრად გამოირჩევიან ნაციონალები — 2008 წლის ომის მთავარი შემოქმედნი. მათი გაგება შეიძლება, რამეთუ საკუთარი დანაშაულის გამართლებას, ყოველდღიური „პატრიოტიზმი“ ესაჭიროება, მაგრამ მიკვირს ზოგიერთი ექსპერტის, მათ შორის დაბრძენებულის, დინჯად მოსაუბრის, თვითონ რომ ჰგონია, ბრძნული აზრების მატარებლის — თუ ასე გააგრძელებს რუსეთი, საქართველოს მოუწევს საკუთარი გადაწყვეტილების გადახედვა, სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებითო.

უმალ გამახსენდა ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი ექსპერტებთან შეხვედრის დროს — თქვენს აზრს ანგარიშს უწევენ, ამიტომაც სანამ იტყვით, დაფიქრდითო. პატივცემულო ბიძინა! ძნელად აღსაზრდელებია თქვენს მიერ პატივნაცემი ე.წ. ექსპერტები. არადა, კაცმა რომ თქვას, ექსპერტის და სხვათა მიერ გაჟღერებული „მკაცრი“ მოსაზრება, ვის მეტად დააზარალებს? მათ, რა?! ისინი ხომ არ ლებულობენ მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში? აბა, ვკითხოთ სპორტსმენებს, რა ხასიათზე დადგებიან, ოთხწლიანი ლოდინის შემდეგ, რომ ვილაცამ აუკრძალოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა? აბა ვკითხოთ მსოფლიოს ან მსოფლიოს ოლიმპიური თამაშების კომიტეტს, რა შეხედულება ექნებათ ასეთი ქვეყნის მიმართ?

დიახ! ჩირაღდნის ერთ-ერთი მატარებელი, რუსეთის ათასობით მოქალაქეს შორის ამ ქვეყნის გმირიც არის. რა არის ამაში გასაკვირი ან ალმაშფოთებელი? ოლიმპიური ჩირაღდანი უკვე ატარეს მსახიობებმა, ყოფილმა სპორტსმენებმა, ცნობილმა ადამიანებმა. მათ შორისაა ცხინვალის ომის გმირიც. ცხადია, ჩვენს ყურს არასასიამოვნოდ მოესმის „ცხინვალის გმირი“, მაგრამ რას ვიზამთ, სინამდვილეა.

**არ იქნებოდა სააკაშვილი და არ იქნებოდა „ცხინვალის ომის გმირიც“. არ ყოფილიყო 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ და ექსტრემისტული ნაციზმი, დსთ-შიც ვიქნებოდით, დიპლომატიური ურთიერთობებიც გვექნებოდა რუსეთთან, აფხაზეთიც და სამხრეთი ოსეთიც აქ იქნებოდნენ.**

აშშ-ის აღზრდილმა ნაცთა ბელადმა და ოცი ათასმა ახალგაზრდამ ისე გადააგვარეს ქართული ყოფა, ისე შეაბრუნეს ქვეყნის ბედი, რომ ზღაპრადაც გვეჩვენება აფხაზეთ-სამხრეთი ოსეთის დაბრუნება, დიდ მეზობელთან ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

**საგანგაშო და სამრისხანო იყო განვლილი 9 წელიწადი. სააკაშვილის აღვირახსნილობა, ნაცთა დანაშაულებრივი ქმედება, მაგრამ თითო-ოროლას გარდა არავის უმრისხანია, პირიქით ერთ მუშტად ვიყავით და ვართ შეკრული რუსი „აგრესორის“ მიმართ. არც ერთ ჩვენგანს თავში აზრადაც არ მოსვლია შექმნილი ვითარების ობიექტური გაანალიზება, ჩვენი ქმედებებისადმი თვითკრიტიკული შეხედვა.**

არადა თვითკრიტიკადაკარგული საზოგადოების მიერ ცხოვრების რეალური აღქმა შეუძლებელია. სწორედ ამიტომაც გაამახვილა ყურადღება თვითკრიტიკაზე ჩინეთის ახალმა ლიდერმა სი ძინპინმა. დღევანდელი ხელისუფლება კატეგორიულად თხოვს ჩინეთის სახელმწიფო მოხელეების უზარმაზარ არმიას და არა მარტო მას, არამედ ბიზნესსაც, იყვნენ თვითკრიტიკულნი. ჩვენ?!

**ჩვენ, მუდამ კრიტიკაში ვართ, ოღონდ სხვის კრიტიკაში, ხშირად ლანძღვაში გადასულში. ნათელი დასტური ამისა, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სააკაშვილის გამოსვლა იყო. მავანი იტყვის — ბოლო გამოსვლაო. ვერ დავეთანხმები. სპორტის სასახლეში გამართულმა ნაცთა ყრილობამ, იქ შეკრებილთა აღმაფრენამ დამარწმუნა, რომ მალე შემობრუნდებიან. ცხადია, არა ამ არჩევნებში, მაგრამ მომავალში — ჯერ საპარლამენტოში, შემდეგ საპრეზიდენტოში.**

ნაცებს აქვთ ამის რესურსი, რაც მთავარია, თავხედობა. როდესაც ხელისუფლება ვერ დგას თავის სიმაღლეზე, ნაციც ინაცებს და სააკაშვილიც ისააკაშვილებს. როდესაც დამნაშავე ხელისუფლებას შემცვლელი თავზე ხელს უსვამს, პარლამენტშიც გვერდზე ისვამს და ეჭუკჭუკება „კოჰაბიტაციურად“, რუსეთის მიმართ დღევანდელი მრისხანების გრადუსი არათუ დაიწევს, არამედ პირიქით.

მაინც რაში გამოიხატება რუსეთის ხელისუფლების მზაკვრობა ოლიმპიური ჩირაღდნის ტარებასთან დაკავშირებით? ალბათ იმაში, რომ საქართველოს გულის გასახეთქად, კრემლის მაღალმა მოხელეებმა ჩირაღდნის ტარება რუსეთის გმირსაც მიანდეს. მაინც რამდენი დღე მიუძღვნა პუტინმა იმაზე ფიქრს, საქართველოსთვის რით ეწყენინებინა? მაინც, როგორ მოახერხა ჩირაღდნის ათასობით მტარებელში ცხინვალის ომის გმირის ჩასმა?

ბოროტი პუტინი! სად არის აშშ?! სად არის ნორლანდი?! რატომ არ აკეთებენ ამასთან დაკავშირებით მკაცრ განცხადებას?! რატომ არ აწესებენ მზაკვარ რუსეთის მიმართ ეკონომიკურ სანქციებს?!

# ნაციონალური „მრისხანება“



იმედია ნორლანდიც იტყვის თავის სათქმელს. მისგან რა მიდის, იტყვის, ქართველთა გულის მოსაგებად. მის სიტყვას სხვა დატვირთვა აღარ აქვს. უცხო ქვეყნის ელჩი წამდაუწუმ რომ ნებისმიერ ქართულ სისულელეზე „ბრძნულ“ კომენტარს გააკეთებს, მის სიტყვას ფასი ექნება? რაღა მას უთქვამს და რაღა მიშას.

ნორლანდს თავისი გაჭირვებაც ეყოფა — კაცი „ვოლენტარივით“ მუშაობს, უხელფასოდ. ელჩი დიდი ქვეყნისა, თანაც „გამორჩეულის“, როგორც პრეზიდენტმა ობამამ თქვა თავის ამასწინანდელ მიმართვაში ამერიკელი ხალხისადმი.

გამორჩეულობაზე მეტყველებს ის პოლიტიკური სიტუაცია, აშშ-ში რომ ტრიალებს. ქვეყნის ბიუჯეტის მიუღებლობამ გამოიწვია ყოველივე ეს. აშშ-ის ბიუჯეტი პირველ ოქტომბერს შედის ძალაში, მაგრამ ვერ შევიდა გაჯიუტებული რესპუბლიკელების შემხედვარე.

როგორც ცნობილია, კონგრესის წარმომადგენელთა პალატის უმრავლესობას რესპუბლიკელები შეადგენენ, რომლებიც პრეზიდენტ ობამას ნებისმიერ წინადადებას ხმალამოღებული ხვდებიან. ამჯერადაც მსგავს რიტუალთან გვაქვს საქმე. რესპუბლიკელები ამბობენ, რომ ბიუჯეტის მიღების საკითხი გადაჯაჭვულია სამედიცინო დაზღვევის კანონთან - დემოკრატებისა და პირადად ობამას მიერ ინიცირებულთან. ამიტომაც საჭიროა კანონის შესწორება ან ერთი წლით გადავადება, გარდა ამისა, გადასახადების შემცირება. ობამა კატეგორიული წინააღმდეგია.

სამედიცინო დაზღვევა პრეზიდენტ ობამას წინასაარჩევნო დაპირებათა შორის უმთავრესი საკითხია. 40 მილიონი ამერიკელი, ძირითადად დაბალი ფენის წარმომადგენლები, მოკლებული არიან ამ შეღავათს. რა სახსრებით აპირებს სამედიცინო დაზღვევისთვის საჭირო თანხების მოზიდვას პრეზიდენტი? აშშ-ის ადმინისტრაციას ისედაც ხომ 16.7 ტრილიონი დოლარის სახელმწიფო ვალი აქვს? უპირველესად, მდიდარი ადამიანების ჯიბეებიდან. მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს.

ობამას გადაწყვეტილებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან რესპუბლიკელები და მათი ლიდერი ბეინერი, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ეს პარტია მუდამ მდიდართა ინტერესების გამომხატველი და დამცველია.

პრეზიდენტი ითხოვს სახელმწიფო ვალის ჭერის აწევასაც, 16.7 ტრილიონიდან ზევით - 1.1 ტრილიონით, რაც ხელისუფლებას მომავალი წლის დეკემბრამდე თავისუფალი მანევრირების შესაძლებლობას მისცემს.

სახელმწიფო ვალის ჭერის აწევა უცხო არ არის არც ერთი ადმინისტრაციისთვის. თვით ობამამ 5-ჯერ გამოიყენა ეს მეთოდი. გაჯიუტებული რესპუბლიკელები ამის წინააღმდეგნიც არიან.

კონგრესული ქიშპობის შედეგად, პირველი ოქტომბრიდან, სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი მილიონამდე მოხელე უხელფასო შვებულებაში აღმოჩნდა, ვინაიდან ხაზინაში დარჩენილმა 30 მილიარდმა დოლარმა ვერ დაფარა სხვადასხვა სახის ხარჯები.

უფულობამ არა მარტო ჩვეულებრივი სახელმწიფო სამსახურების მდგომარეობა გააუარესა, არამედ პენტაგონის, სახელმწიფო დეპარტამენტის, ეროვნული უშიშროების სამსახურების და ა.შ. მათ შორისაა „ჩვენი“ ნორლანდიც. რა გაეწყობა, ასეთია საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, მსოფლიოში „გამორჩეული“ — აშშ.

თეთრ სახლ-კონგრესს შორის მიმდინარე კინკლაობა აშშ-ში რომ რჩებოდეს, კიდევ არაფერი, მაგრამ გლობალიზაციის წყალობით, დოლარის მსოფლიო ბატონობით, სხვა კავშირებით, ვაშინგტონის კინკლაობა, თუკი დროულად არ მოგვარდება, სხვაზეც გადავა.

პრეზიდენტმა ობამამ, მორიგი გამოსვლის დროს კვლავ გააკრიტიკა რესპუბლიკელები და აღნიშნა, რომ შექმნილი ვითარება ძვირად დაუჯდება აშშ-ს, დასცემს რა მის პრესტიჟს მსოფლიოში. 17 ოქტომბრამდე მდგომარეობის გამოუსწორებლობის და სახელმწიფო ვალის დღევანდელ დონეზე დატოვების შემთხვევაში ქვეყანას დეფოლტი დაემუქრება. ბევრმა ექსპერტმა ამერიკის დეფოლტი ბირთვული ბომბის აფეთქებას შეადარა. დეფოლტი სერიოზულად იმოქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკაზეც, მათ შორის ჩვენზეც.

აშშ-ის საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა დაგვანახვა, რომ დრო მსოფლიო ერთპიროვნული ბატონობისა დაღმა მიექანება. რა და როგორ ჩანაცვლდება ეს სისტემა, მომავალი გვიჩვენებს. ნაცვლად ერთპიროვნულობისა ანუ ერთპოლუსიანობისა, მრავალპოლუსიანობა წამოიწევს წინ, სადაც თავის სიტყვას იტყვიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, ბრაზილია, სხვა მზარდი ეკონომიკების ქვეყნები.

მეტი ყურადღება დაეთმობა რეგიონული ლიდერობის პრინციპებს, რეგიონულ სავალუტო სისტემებს და სხვა. მაგრამ ეს მომავალში, თუმცა, არცთუ შორეულში. ასეთი გადანაწილების დროს ჩვენი ქვეყნის ადგილიც გამოიძებნება — უპირველესად, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე და არა ვილაცის სურვილებიდან. საქართველო ფაქტის და არა არჩევანის წინაშე დადგება, რის გათვალისწინება აუცილებელია დღეს.

ყოფილ საბჭოთა სივრცეში რუსეთის დომინირების სურვილი არახალია. ისიც არახალია, რამდენად ეწინააღმდეგება ამას დასავლეთი. ვილნიუსის მომავალი სამიტიც დასტურია იმისა, თუ როგორ გამოგლიჯოს დასავლეთმა რუსეთს, მისი გავლენის ქვეშ მყოფი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. ჯერჯერობით დასავლეთი იგებს, მაგრამ რა ვადით და რა პერსპექტივით?

მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის გათვლებით, 2014 წელს ერთიანი ეროვნული პროდუქტის წარმოების პარამეტრებით ჩინეთი შეინარჩუნებს ლიდერობას - 7.3%. აშშ-ში - 2.3% დაფიქსირდება, ოდნავ მეტი რუსეთში. ჩინეთის ტემპი წინაპირობაა იმისა, რომ 2020 წლისთვის ეს ქვეყანა პირველი ეკონომიკა გახდება, ჩამოიტოვებს რა აშშ-ს. განვითარებადი ქვეყნების შეტევა გაგრძელდება, რაც თავისთავად გამოიწვევს პოლიტიკურ ცვლილებებს.

**ერთხელ ბატონმა ივანიშვილმა ბრძანა — საქართველო იქნება დასავლეთისკენ და მასთან ერთად და თუ ვითარება შეიცვლება — იქეთკენ, საითაც უკეთესი იქნებაო. პრაგმატული მოსაზრებაა, თუმცა, არცთუ იოლად განსახორციელებელი.**

**ნებისმიერ ახალ სისტემაში ინტეგრაციას დრო სჭირდება, გარდა ამისა განსწავლული კადრები და არა ჩიტირეკია „პოლიტიკოსობა“, რაც აშკარად გამოჩნდა „ოლიმპიური ჩირაღდნის“ თემის წამოწევით. ნუთუ ძნელია იმის დადგენა, რომ ეს თემა ნაციონალებმა შემოაგდეს. რურუას, წიკლაურის და სხვათა „პატრიოტული“ შემართება რომ ქვეყნის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, განა ძნელი მისახვედრია?**

**ხელმოწერების შეგროვებაც ხომ ქვეყნის და არა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული აქციაა. რუსეთს ამით არაფერი დააკლდება, არ მიიღებს საქართველო ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას და მომავალში მიაღებინებენ? ის, რომ მსოფლიომ გაიგოს რუსეთის აგრესიის შესახებ - ამით საქართველოს რა?!**

**იქნებ მსოფლიომ დიდი ხანია გაიგო, ვინ არის სააკაშვილი და ვინ დაიწყო ომი? პირველმა ამის თაობაზე ევროკავშირის კომისიამ განაცხადა. მას შემდეგ ბევრმა სხვამაც. ამიტომ ხომ არ უყურებენ იმავე დასავლეთში საქართველოს ალმაცრად?!**

ნაცთა პროპაგანდას აყოლილი ზოგიერთი მოხტუნავე და მოცეკვავე, დღეს რომ გაიძახის საქართველო უნდა დავიცვათ რუსული აგრესიისგანო, 2008 წელს სად იყო, რატომ ერთხელ არ გაბედა სააკაშვილისთვის საპროტესტო აქციის მოწყობა? ომის დაწყებამდე, როდესაც დენთის სუნი ტრიალებდა, რატომ არ გამოვიდნენ საპროტესტო მარშით პრეზიდენტის სასახლესთან მოწოდებით — ძირს ომი!

**დღევანდელი აქციები ნაციონალთა გადარჩენის საბაბით კეთდება — მათი შეკვეთით და დაფინანსებით. პატრიოტული ლოზუნგების მოგონებას კი რა უნდა, ისეთის, საქმეში ჩაუხედავ ახალგაზრდებს რომ აანთებს?!**

ამას წინათ კალაძემ ბრძანა — რუსეთმა ვერ დაინახა ჩვენი კეთილი ზრახვები და აქედან გამომდინარე მოგვიწევს მთავრობის სხდომაზე ამ საკითხის განხილვაო. მაინც რა ვერ დაინახა რუსეთმა? ის ხომ არა, ნება რომ დაგვრთო ღვინო, მინერალური წყლები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები შეგვეტანა რუსულ ბაზარზე? იქნებ ჩვენ ვერ დავინახეთ, რომ ბაზრის გაღებას, ჩვენის მხრიდან რაღაც სხვა, ანუ პოლიტიკური დიალოგი უნდა მოჰყოლოდა?!

ჩვენ ქვა ავაგდეთ და თავი შევუშვირეთ — ვიდრე სოხუმში და ცხინვალში რუსეთის საელჩოები იქნება, — ლაპარაკი არ შედგებაო. იქნებ ლაპარაკით შეჩერებულიყო საზღვრის გავლება?! სხვა გზით, მით უმეტეს ომით ვერაფერს გავხდებით. არც დასავლეთი გვეხმარება. ლაპარკობენ, მაგრამ მერე რა. იმას, რასაც ჟურნალისტებთან ამბობენ, რუსეთის მაღალ ეშელონებში ვერ ბედავენ, როგორც ჩანს ერიდებათ, წინასწარ იციან, რა პასუხს მიიღებენ — აგრესორთან დაკავშირებით.

დასავლეთიც თავის ჭკუაზეა. ის ჩვენთვის თავს არ მოიკლავს. ამას წინათ მოლდოვის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრმა აღშფოთებულმა განაცხადა, რომ ხელისუფლებამ და ევროკავშირმა ხელშეკრულება გააფორმეს მოლდოვა-დნესტრისპირეთის საზღვრების დაწესებასთან დაკავშირებითო. ხელშეკრულება საიდუმლოა და არავის აჩვენებენო.

ვერ გეტყვით, რამდენად მართალია პარლამენტარის ნათქვამი, თუმცა, თუ ეს მოხდა, გასაკვირიც არაფერია. ევროპას არაერთხელ გადაუდგამს მსგავსი ნაბიჯი. მარტო ის რად ღირს, როდესაც 1938 წელს ჰიტლერს გაურიგდნენ და ჩეხოსლოვაკია ჩააბარეს! ამ აქტმა გამოიწვია ჰიტლერის მადის ზრდა და მეორე მსოფლიო ომიც.

**დიდი „მრისხანებაა“ საქართველოში — აშშ-ის გამოზრდილი იმ ოცი ათასი კაცისა, რომელსაც საქართველო საექსპერიმენტო პოლიგონად მიაჩნია. თქვენ რა აზრის ბრძანდებით, პატივცემულო მკითხველო?**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.



## გიორგი ცაგარეიშვილი:

# „მსურს, მეორე ადგილზე ნინო ბურჯანაძე გავიდეს“

**მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ცაგარეიშვილი ელის, რომ 27 ოქტომბერს კოჰაბიტაციის პროცესი დასრულდება, პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის საქმიანი ურთიერთობა ჩამოყალიბდება, ქვეყანაში ვითარება დასტაბილურდება და საზოგადოებასაც ფსიქოზი და ნერვოზი გაუნელდება.**

**საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, დეპუტატი „მიშასეული კივილ-წივილის“ გაგრძელებასაც ელის და ამბობს, რომ „ნაცმოძრაობა“ „ვერ გათეთრდების“, რადგან ეს ძალა დაფუძნებულია — შანტაჟზე, შიშის დანერგვაზე, ადამიანების დაჩაგვრაზე და ოპონენტთა შევიწროებაზე.**

**ამას გარდა, კანონმდებელი სამართლიანობის პროცესის ბოლომდე მიყვანასაც ელის და ოპონენტებს საყვედურობს — თუ რატომ ვერ ხედავენ ამ პროცესის მსვლელობას.**

**ვინ ოცნებობს კოალიციაში „ნაცმოძრაობის“ გადარჩენაზე? რატომ არიან ნაციონალები ავაზაკები? — ამას for.ge-ს ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარესთან ჩავწერეთ.**

**— „ნაციონალური მოძრაობა“ ახალ პოლიტიკურ ბრძოლას იწყებს. როგორ ფიქრობთ, მათ მცდელობას, რა შედეგი მოჰყვება?**

— ნაციონალური მოძრაობის ამ დღეებში ჩატარებული თავყრილობა არანაირი სიახლის მომტანი არ ყოფილა. „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭო იმ 68 ადამიანით დაკომპლექტდა, რომლებიც წლების განმავლობაში, პირდაპირი გაგებით, ადამიანებს სულს ხდიდნენ. ამ ადამიანების გამოსწორების არანაირი შანსი არ არსებობს. არ ვფიქრობ, რომ მათ რაიმე ეშველებათ. ამ 68 ადამიანიდან რომელიმეს, ნამუსი ქენჯნის? ჩადენილი დანაშაულების გამო, ვინმემ ბოდიში მოიხადა? ვინმეს მონანიების თაობაზე სიტყვა წამოცდა? ფაქტია, რომ ეს ადამიანები, ერთმანეთისგან შეცდომასა და დანაშაულს ვერ განასხვავებენ. როცა მამაკაცებს ცოცხებით აუპატიურებ, გირგვლიანის ოჯახს ხოცავ, რობაქიძის ოჯახს აუბედურებ, კორუფციაში ხარ ჩაფლული და სახელმწიფო ბიუჯეტს ხრავ, ბატონებო, ეს შეცდომები არ არის, არამედ ამ შემთხვევაში, ზნედაცემული ადამიანები ბრძანდებით! „ვერ გათეთრდების“ „ნაციონალური მოძრაობა“, რადგან ეს ძალა დაფუძნებულია — შანტაჟზე, შიშის დანეგვრაზე, ადამიანების დაჩაგვრაზე და ოპონენტთა შევიწროებაზე. ეს მათი არჩევანი იყო და სხვა რამ არ უკეთებიათ. ნაციონალების აღზევების და ფერფლიდან გარდასახვის არ მჯერა, რადგან პარტიის თავმჯდომარე ისევ მიხეილ სააკაშვილია, პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე — დავით ბაქრაძე და გენერალური მდივანი — ვანო მერაბიშვილი. პარტიულ ყრილობაზე განაცხადეს, ხელისუფლებაში დავბრუნდებითო და ადამიანებს სამსახურებიდან არ გავუშვებთო, მაგრამ, ბატონებო, სად მოდიხართ, ან ვის უნდიხართ?

**— ამ ყრილობას ლაიტმოტივად თან სდევდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რევანშს არ აპირებს. მათ სიტყვას საზოგადოება ისევ ირწმუნებს?**

— ეს ყველაფერი სიყალბეა. თუ ნაციონალებს მსოფლიოსთვის „ქართული ოცნების“ რევანშისტურ ძალად წარმოჩენა სურთ, მათ ეს არ გამოუვათ, მაგრამ ათი თვეა, ისინი ამ მეცადინეობაში არიან. ყოფილ ხელისუფლებას ჩვენი წარმოჩენა სურს, როგორც შურის მაძიებელთა დაჯგუფების, რომელიც ადამიანებს ავიწროებს, მაგრამ იმ დანაშაულთა სერია არ უნდა გაგვემჟღავნებინა, რაც ქვეყანაში ხდებოდა? ამისთვის ადამიანები პასუხისგებაში არ უნდა მიგვეცა? როცა მამაკაცს აუპატირებ, ამისთვის პასუხისგება არ გინდა?

**— ყოფილი ჩინოვნიკების პასუხისგებაზე აპელირებთ, თუმცა, ადამიანთა წამებისა და თუნდაც, გაუპატიურების ბრალდებით, მაღალი ეშელონებიდან ვინ აგო პასუხი?**

— უამრავი დანაშაულებრივი სქემაა გახსნილი დაწყებული მოსმენებით, დამთავრებული საშინელი წამებით. მაღალი ეშელონებიდან ორი მინისტრია დაკავებული. მათ შორის, ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე ბაჩო ახალაია არის დაკავებული. ხოლო, ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესი მიმდინარეობს და ჩემი აზრით, მას ყველაფერი წინ აქვს. მე რა ინფორმაციაც მაქვს, ეს საქმეები მხოლოდ დასაწყისია. ამას გარდა, თბილისის მერი პასუხისგებაშია მიცემული, იუსტიციის ყოფილი მინისტრი გაქცეულია და თუ რომელ სარდაფში იმალება, ეს კაცმა არ იცის.

**— იმ იუსტიციის მინისტრზე საუბრობთ, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აქებს?**

— მათ გარდა, ქვეყნიდან ათასი ჯურის ნაძირალაა გაქცეული. მეგის ქარდავათი დაწყებული, სოსო თოფურიძით დამთავრებული, რომელიც აია სოფიაში დადის. ასევე მიმალვაშია დათა ახალაია. 220 ადამიანი პოლიტპატიმრად არის აღიარებული, ხოლო 12 ათასი პატიმარი სააკაშვილისა და ადეიშვილის ჯურღმულებიდან გამოშვებულია. თუ ეს არ არის სამართლიანობის აღდგენა, მაშინ რა იგულისხმება სამართლიანობის აღდგენაში? ერთხელ ვთქვი, რომ რა ვქნათ, ნაციონალებს ბოძებზე ვერ დავკიდებთ-მეთქი და ჩემთვის ფრიად დასაფასებელმა ადამიანებმა ნიშნის მოგებით ჩემი კრიტიკა დაიწყეს, მაგრამ ბატონებო, ჩემგან ჯალათი არ გამოვა, რადგან ჩემმა მშობლებმა არ მასწავლეს, რომ ადამიანი უნდა ვაწამო. სერგო თეთრაძე ვინც აწამა, მათ დავემსგავსო?! ადამიანები ფეხებით ჩამოვკიდო, როგორც ამას მერაბიშვილ-ადეიშვილი აკეთებდნენ?!

**— ერთია, თუ რაზე აპელირებს „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ მეორეა, საზოგადოების ნაწილის განწყობა, რომელთაც სამართლიანობის აღდგენის პროცესის გაჭიანურება აღიზიანებთ. არ ფიქრობთ, რომ ეს პროცესი ურმით მიდის?**

— თუ ჩვენ სამართლებლივ ქვეყნად გადაქცევა გვსურს, მაშინ ეს საქმეები სასამართლომ უნდა განიხილოს, სადაც უმძიმესი რეფორმა მიმდინარეობს. თუ მართლა გვინდა, რომ სამართლიანობა აღდგეს, მაშინ ყველაფერი სამართლის ძალით უნდა განვსაჯოთ და არა ტერორის. ჩვენი ერთ-ერთი კონკურენტი ამბობს, რომ სამართლიანობის აღდგენა მოიკოჭლებს, მაგრამ რას ნიშნავს სამართლიანობის აღდგენა? ეს შეიძლება, უსამართლობის დამყარებით აღდგეს?! შეიძლება, სამართლიანობა ინკვიზიციურ მართლმსაჯულებაზე დაფუძნებით აღდგეს?! ან შეიძლება ისე აღდგეს, როგორც ამას ნაციონალები აკეთებდნენ, როცა ადამიანებს საცვლების ამარა არბენინებდნენ და ეს არის სამართლიანობის აღდგენა ქართული ტრადიციებით?! ბატონებო, ასეთ ქვეყანას ვებრძოდი და იგივე როგორ აღვასრულო, რას მთხოვთ?!

**გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სააკაშვილის ბუნებრივი პროცესია იხორხოცოს, იყვიროს, იხმაუროს და იდიოტურ თემებზე ისაუბროს.**

რამდენიმე მაფიოზური სქემა გაიხსნა... შემიძლია წინმსწრებლად გითხრათ, რომ სამი-ოთხი სკანდალური და ჩახლართული საქმე გაიხსნება, რომელთა გამოძიება მიმდინარეობს. მართალი გითხრათ, უცხოეთიდან უზარმაზარი ზეწოლა მოდის და საქმიანობა ურთულეს პროცესში გვიწევს, რადგან ეს ადამიანები, პოლიტიკურ ლობიზმში ასობით მილიონ დოლარს ხარჯავდნენ და ახლა, მათთვის იქ გაცემულ თანხებს შედეგები მოაქვს. ნაციონალებს ევროპარლამენტში თავგადამკვდარი მხარდამჭერები ჰყავთ და ეს დავმალოთ? უცხოელებთან უმძიმესი ბრძოლა მიმდინარეობს, რომ მათ გავაგებინოთ, რომ არ ვართ ინკვიზიტორები და მხოლოდ სამართლიანობის აღდგენა გვსურს. ხელისუფლების პასუხისმგებლობა უზარმაზარია, მით უმეტეს — ვილნიუსის სამიტის წინ, რადგან ფეხი რომ გადაგვიტრიალდეს, როგორც ეს 2008 წელს მიხეილ სააკაშვილმა მოახერხა, ხალხი რას გვეტყვის? — მოგვეფერება?!

არ ვამბობ, რომ უნდა ჩავიმუხლოთ და სამართლიანობა აღარ აღვადგინოთ. რა თქმა უნდა, სამართლიანობა უნდა აღდგეს. მართალია, ეს პროცესი დროში გაწერილი იქნება, მაგრამ აუცილებლად დასრულებადი. უამრავი წინააღმდეგობა იქნება, მაგრამ ეს პროცესი დასრულდება. საზოგადოებისთვის იმის ახსნას ვცდილობ, თუ რას ნიშნავს სამართლიანობის აღდგენა ივანიშვილის გადმოსახედიდან და შემდეგ, ბურჯანაძის პოზიციიდან.

**— პარტნიორი ქვეყნების მხრიდან წარმოებულ ზეწოლაზე საუბრობთ, რომელთა დაკვეთითაც კოჰაბიტაციის პროცესი მიმდინარეობს, თუმცა, არ ფიქრობთ, რომ ამ პროცესის შედეგია სწორედ ის, რომ ნაციონალები დანაშაულებრივ ქმედებებს შეცდომებად ასაღებენ და ისინი უამრავი გაუბედურებული ადამიანის გამო, სინანულს არ გამოთქვამენ?**

— ამ პროცესმა, შეიძლება, ვიღაცა გააყეყეჩა. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი აგრესიულადაც გვესაუბრება. ამ ადამიანებს არაფერი ეშველება და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიმართაც ვამბობ — ბატონებო და ქალბატონებო, თუ ვინმეს იმედი გქონდათ, რომ ამ ადამიანებისგან რაიმე გამოვიდოდა, ცდებით, რადგან ესენი პირუტყვებად იყვნენ გადაქცეულები და მაჭავარიან-კუბლაშვილ- გოგორიშვილისგან არაფერი გამოგივათ! მათ გამოსწორებაზე ტყუილად ზრუნავთ!

**— ხელისუფლებას იმის აღიარება არ სურს, რომ ნაციონალების „გაყეყეჩებაში“ გარკვეული როლი მიუძღვის, თუმცა, რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ რიტორიკაში შემტევი რიხი „ქართული ოცნების“ პასიურობის შედეგია...**

— ჩვენი ექსერტების შეფასება თუ რად ღირს, ეს ბატონმა ბიძინამ დაგანახათ. ბატონ რამაზს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ საწუხაროდ, ექსპერტები ხშირად ცდებიან. ნაციონალებს ჰგონიათ, რაც უფრო მეტს იყვირებენ, პასუხს მით უფრო ნაკლებად აგებენ, მაგრამ ცდებიან. ისინი ჩაგრულის იმიჯის შექმნას და თავიანთი სპონსორებისა და დონორების მხრიდან ყურადღების მიქცევას ცდილობენ. მართალი გითხრათ, მათ ეს რიხი არასოდეს დაკლებიათ. არჩევნები წაგებული ჰქონდათ, როცა სააკაშვილი თაქთაქიშვილის პირით ამბობდა, რომ არჩევნები მოვიგეთო. მათი რიხი ჩვენი ბრალი არ არის, პირიქით, ეს მათი ბუნებრივი მდგომარეობაა. რიხიანობა მათი გამოუვალი მდგომარეობის შედეგია. თუმცა, ვანო მერაბიშვილი ნელსონ მანდელად, რაც არ უნდა წარმოაჩინონ, ვერ წარმოჩინდება.

**— „ნაცმოძრაობას“ კიცხავთ, მაგრამ თქვენი ოპონენტი ნინო ბურჯანაძე „ნაციონალებისა“ და „ოცნების“ გარიგებაზე საუბრობს და ამბობს, რომ გარიგების საფუძველია — „რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ბურჯანაძის გაპრეზიდენტება არ დაუშვან“...**

— ეს ძალიან დიდი სიცრუეა და საკითხისადმი პრიმიტიული დამოკიდებულებაა. მაინტერესებს, მათ რის ფასად, უნდა გავურიგდეთ? რის გამო? კოალიციაში არიან ადამიანები, რომლებიც იმაზე ოცნებობენ, რომ „ნაცმოძრაობა“ გადარჩეს, მაგრამ ეს ჩემი ქართული ოცნება არ ყოფილა. ეს არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, სადაც ავაზაკები არიან თავმოყრილნი. ამ ადამიანებმა, დანაშაულებრივ ქმედებებზე პასუხი სრული სიმკაცრით უნდა აგონ. „ნაციონალების“ ადვოკატი ვერ გავხდები.

**— კოალიციაში „ნაცმოძრაობის“ გადარჩენაზე ვინ ოცნებობს?**

— სამართლიანობის აღდგენაზე ვსაუბრობთ. კერძოდ, იმაზე, რომ პარლამენტში ოპოზიცია უნდა არსებობდეს. მართალი გითხრათ, ის ჩემი სადარდებელი არ არის. არ მაინტერესებს, პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ადამიანები გადარჩებიან თუ არა. ეს მათი პრობლემაა. ზოგადად, ცუდია, როცა ხელისუფლებას პასუხის გამცემი არ ჰყავს, როგორც ეს „ნაცების“ შემთხვევაში იყო, მაგრამ ამ ადამიანებს კისერიც მოუტეხიათ. ძალიან მაინტერესებს, რომელ ადგილზეა საუბარი? პოლიტიკურ განცხადებას ვაკეთებ და გეუბნებით, რომ მსურს — ნინო ბურჯანაძე მეორე ადგილზე გავიდეს. ორი ხმა რომ მქონდეს, ერთს ბურჯანაძეს მივცემდი. ვინც „ნაცების“ მოწინააღმდეგედ გამოვიდოდა, მესამეს მას მივცემდი.

**— თუმცა, NDI-ს კვლევებს თუ ვირწმუნებთ, მეორე ადგილს დავით ბაქრაძე იკავებს. გამორიცხავთ, ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლას?**

— ყველაფერი გამოჩნდება.

**— თქვენი საპრეზიდენტო კანდიდატი ამბობს, რომ 27 ოქტომბერს კოაბიტაცია დასრულდება. რა პროცესები დაიწყება? პრეზიდენტის პოსტის დატოვების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილის გააქტიურებას ელით?**

— კოჰაბიტაცია დასრულდება და პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის საქმიანი ურთიერთობა ჩამოყალიბდება. ამასთან, ეს გიჟური ვეტომანიაც დასრულდება, რომელიც სააკაშვილის სახადად აქვს შეყრილი. ვითარება დასტაბილურდება და საზოგადოებასაც ფსიქოზი და ნერვოზი გაუნელდება. რაც შეეხება სააკაშვილს, სჯობს, მან იმ მღვდელს გამოართვას ტაბურეტი, რომელმაც მზესუმზირის გამყიდველს წაართვა და თუ რა, იყვიროს, ეს თავად გადაწყვიტოს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სააკაშვილის ბუნებრივი პროცესია იხორხოცოს, იყვიროს, იხმაუროს და იდიოტურ თემებზე ისაუბროს. ასევე ქართულ სახელმწიფოებრიობას ზიანი მიაყენოს. ვფიქრობ, რომ მიშასეული კივილ-წივილი გაგრძელდება, თუმცა, არ ვიცი, რისი თანხმლებით.

**— რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ დროშას, გიგი წერეთელმა განაცხადა, რომ ახალი დროშა მისთვის იქნება — ღმერთის, სამშობლოს, ოჯახისა და მეგობრობის სიყვარულის სიმბოლო“. თქვენც ეს შთაბეჭდილება გრჩებათ?**

— ასოციაციებზე ნუ ვისაუბრებთ, რადგან სოციალურ ქსელებში უხერხული ვერსიები გავრცელდა. რაზე საუბრობენ? — ღმერთი არასოდეს წამებიათ, მამული გაასხვისეს და მეგობრობა კი, 68-კაციან საბჭოში იციან? სიტყვით გამოსვლისას, სააკაშვილმა თქვა, რომ ნათესავებს ვეუბნები, ხელი არ აფათუროთო და ეტყობა, საკუთარ დედაზე ლაპარაკობდა, რომელმაც ჩალის ფასად, ლამის ყველა უნივერსიტეტი შეიძინა.

**თეონა მანაგაძე**



# ბილწ ავაზაკთა „აგულავება“

**მათი ჭეშმარიტი სიმბოლო ოდენ ცოცხია. ცოცხი, რომელიც ხალთაში აღარ დაიმალება. არც უსულგულოთა და გახევებულთა, გაცოცხლება არ შეიძლება. ისინი ყალბ ნიშანს იძლევიან და ყრილობას მართავენ, თითქოს გაცოცხლდნენ. თითქოს ზნე იცვალეს ან ფერი. უზნეოთა ფერიცვალება ცოდვათა მონანიების, სასჯელით გამოსყიდვისა და შენდობის გარეშე – სისულელეა ბრიყვთა საცდურად მოგონილი.**

ბილწი ისევ თავმჯდომარეობს 68 მურდალი ავაზაკისგან შედგენილ ხროვას და რიგით ცდუნებულთ ძალაუფლების ასაღებად თავიდან გეშავს. ისინიც ჩადენილ და მომავალში ჩასადენ ბოროტმოქმედებათა გამო ბილწის გარშემო ისევ ირაზმებიან. რაღა მნიშვნელობა აქვს დროშაზე ცრუდ რას გამოსახავენ?!

ოთხი გული ხომ ბანქოს ქაღალდსაც ახატია. მაგრამ ავაზაკთა დროშაზე ქრისტეს ჯვარს რა უნდა? ან თეთრ სისპეტაკესთან რა ხელი აქვთ მძიმე ცოდვებით წარყვნილთ?!

ქრისტეს ჯვარი და თეთრი სპეტაკი მათ დროშაზე არ შეიძლება იყოს და სინამდვილეში არც არის: თუ გულდასმით დააკვირდებით, მათ დროშაზე წითელი ხაზებით შემორაგული ოთხი ცარიელი უჯრედია. სიცარიელეთა მიჯრით განლაგება ჯვრისა და სისპეტაკის იმიტაციას, შეურაცხმყოფელ ილუზიას ქმნის. ცარიელი უჯრედი მათ დროშაზე გინდათ – სამარეს, გინდათ – საკანს განასახიერებს. ოთხთაგან თითოეულ საკან-სამარეში გულია დასვენებული.

მათ ჩვენი გულების ამოგლეჯა და ცოცხლად დაფლვა დაუსახავთ მიზნად. სინამდვილეში ამას განასახიერებს მათი დროშა და მათი ავაზაკური „იდეა“.

ბილწის ხელმა მაღლა აღმართა ეს ვითომ განახლებული დროშა და დაიქადნა, რომ ჩვენს გულებს ოთხში ამოიღებს!

ბილწი უსულგულოა. ამიტომაც ჩვენს სულებსა და გულებზე ნადირობით სულდგმულობს. როცა ძალაუფლების სკიპტრად ცოცხი ეპყრა, მისი ჯოჯოხეთის მანქანა სულებს გვაცლიდა. სანამ ძალა ერჩოდა, ცოცხით და ცოცხში დასამწყვდევად სულებს წარიტაცებდა. ახლა სურს, გულები შეიპყროს, გულებზე ინადიროს. ძალაუფლების ცოცხ-სკიპტრა ხელიდან გააგდებინეს, დაძაბუნდა და გაცვეთილი პათეტიკით ყალბ, უგულო სიყვარულს გვეფიცება.

უგულო სიყვარული კი სხვა არაფერია, სიძვაა. სიძვას გვთავაზობს. უგულო თანაყოფას – ჯერ მხოლოდ კოჰაბიტაციას. ხოლო როცა საწადელს მიაღწევს, ჩვენს გულებს ოთხში ამოიღებს და კვლავ თავის სიძვის სახლად ჰყოფს ქვეყანას და კოჰაბიტაციაც დასრულდება. ისევ დაიწყება ცოცხებით ბილწი თარეში აწ უკვე სულთა დასატყვევებლად.

სწორედ ამაზე მიგვანიშნებს და სხვა არც არაფერზე მათ დროშაზე ოთხ საკან-სამარეში დამწყვდეული ოთხი ამოცლილი გული. ეს მათი ოთხი ავაზაკური დევიზის სიმბოლოა.

უმთავრესი დევიზი უკვე გავშიფრეთ – უგულო სიყვარული, ანუ სიძვა! „უგულოდ შეიყვარე!“ – ამ დევიზს მათი დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში დატყვევებული გული გამოსახავს. სიძვით ცდუნება მთავარი ხერხია, რომ თანაყოფ-კოჰ-აბიტაციით თავიანთი ცოდვების სიბინძურე ბრჭყვიალათი შენიღბონ, ამ ცოდვათა თანაზიარი გაგვხადონ და ბილწთან მეძავური ზავი შევკრათ.

ზედა მარცხენა საკან-სამარეში სამართლის გულია დაფლული. „სამართალი სამართლიანობის გარეშე!“ – უგულო სამართლის ეს დევიზი მათი გადარჩენაა, ბილწისა და ავაზაკთა ხროვის ხსნაა, ერთადერთი შესაძლებლობაა მსჯავრს თავი დააღწიონ.

ქვემოთ და მარჯვნივ კი ოცნების გულის სასაფლაოა. გულამოცლილი, მკვდარი ოცნება: „იოცნებე ფუჭად, უგულოდ, საქმის გარეშე!“ – ეს დევიზი მათთვის ძალაუფლების დაბრუნების გზაა. აკი დაჟინებთ, წამდაუწუმ იყვედრებიან კიდეც: „ოცნება არ მუშაობს!“ და რახან არ მუშაობს, რომ არ გავიყინოთ ფუჭ ოცნებაში, თურმე ბილწის ცოცხ-სკიპტრამ უნდა იმუშაოს! „განაგდე უძრავი ოცნება და ემონე მოძრავ ცოცხსა!“ – ამას მოგვიწოდებენ.

ქვედა მარცხენა სამარეში ღირსების გულია დამარხული. გულგამოფატრული ღირსება: „მოჰკალ ღირსება!“ – ეს დევიზია მათი კვლავ აღზევების და ღირსება გამოცლილ მასებზე გაბატონებისა.

გულების ოთხში ამოღება, ოთხი სამარის გათხრა ჩვენი გულებისათვის – ესაა ბილწის ავაზაკური გეგმა და ახლა თავიდან ირაზმებიან. მოწმენიც გაგვხადეს თავიანთი „აგულავებისა“, რასაც შარშან ამ დროს ვერც ვერავინ წარმოიდგენდა!

რატომ აგულავდნენ ავაზაკნი?! როგორ გაბედეს?!

იმიტომ ხომ არა, რომ უკვე დაიჯერეს – იოლად გვაცდუნეს სიძვით და კოჰაბიტაციური ზავი ბილწთან, მასთან უგულო თანაცხოვრება, რაც თანაშეყოფით მრუშობაშიც მალე გადაიზრდება, უკვე საბოლოოდ შეიკრა?!

იმიტომაც ხომ არა, რომ ვერ აღვასრულეთ მათზე სამართალი და ჩვენივე ხელით გვათხრევინებენ იმ სამარეს, სადაც სამართლიანობა უნდა დამარხონ?!

იმიტომაც ხომ არა, რომ ფუჭად ოცნება ოქროს თევზის იმედად, რაც ბოლოს მაინც მებადურის ცოლივით ისევ გატეხილი ვარცლის ამარა დაგვტოვებს, აძლევს მათ შანსს, რომ ოცნებების სასაფლაოზე ახალი ცოცხი აღმოცენდება?!

და ალბათ იმიტომაც, რომ ღირსებაწართმეულთ, წელში ვერ გამართულთ, ისევ დაბეჩავებულთ გვხედავენ და ჰგონიათ, რომ ღირესულ პასუხს ვერ გავცემთ ჩვენს გულებზე მათი ნადირობის ბილწ განზრახვას!

მათ მხოლოდ ჩვენი უგულობა აგულიანებთ. ბილწის ბოროტი ხელმწიფება მხოლოდ ჩვენი გულების დასამარებით გახდება შესაძლებელი.

ბოროტი არ შეგვეპაროს, გულებს გავუფრთხილდეთ ქალბატონებო და ბატონებო, გულებს!

ვინძლო მართლაც არ ამოგვართვან და ავაზაკთა ბილწ სამსხვერპლოზე არ მიიტანონ, როგორც ეს თავიანთ ახალ დროშაზე ახალ მუქარად გამოსახეს!

**დავით ზარდიაშვილი**

**◉ დასავლეთი ამას არ გვთხოვს!**

# მოსალოდნელია თუ არა კოჰაბიტაციის მეორე ტალღა?

**დაპირებისამებრ, 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია უნდა დასრულდეს, მაგრამ ექსპერტები უკვე ღიად საუბრობენ, რომ დავით ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში, ეს არც ისე მარტივი იქნება და დასავლეთი ბევრად უფრო თამამად მოგვთხოვს, ანგარიში გავუწიოთ იმ „პატივსაცემ“ ოპოზიციურ ძალას, რომელმაც, ყველაფრის მიუხედავად, საპრეზიდენტო არჩევნებში მაღალი შედეგი აჩვენა. ეს კი ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის კვლავინდებური დაყოვნების პირდაპირპროპორციული იქნება.**

**მოგველის თუ არა კოაბიტაციის მეორე ტალღა და ეს ტალღა უფრო ინტენსიური იქნება თუ შენელებული, ამის შესახებ ექსპერტები გვესაუბრებიან.**

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** ადასტურებს, რომ ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში, კოჰაბიტაციის მეორე ტალღა მოსალოდნელია. რაც შეეხება კოჰაბიტაციის მორიგი ტალღის ინტენსივობას, ექსპერტი არ ფიქრობს, რომ ისეთივე პრინციპულობას გამოიჩენს დასავლეთი, როგორც აქამდე იყო, თუმცა არც ისეთი მიდგომა იქნება, რომ, რაც გინდათ, ქართველებო, ის გააკეთეთო.

„არა მგონია, კოჰაბიტაციის დასრულება-არდასრულება მაინცდამაინც უკავშირდებოდეს საპრეზიდენტო არჩევნებს და იმას, ვინ რომელ ადგილზე გავა, რადგან კოჰაბიტაციის ცნება, როგორც ეს გიორგი მარგველაშვილს ესმის და, როგორც ის განმარტავს, შესაძლოა, მართლაც დასრულდეს და ნაციონალმა პრეზიდენტმა-სააკაშვილმა, უბრალოდ, აღარ გააჭიანუროს პროცედურები ამა თუ იმ კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით; მაგრამ ერთია, რას გულისხმობს მარგველაშვილი და მეორეა, რას გულისხმობს საზოგადოება, რომელიც კოჰაბიტაციის დასრულებას უკავშირებს არა კანონპროექტზე ვეტოს დადებას, არამედ იმას, რომ დაიწყოს სამართლიანობის აღდგენა და ნაცმოძრაობის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და მათი დასჯა. თუმცა დასავლეთის მხრიდან კოჰაბიტაციის პროცესი სწორედ იმას ნიშნავს, რომ ნაციონალები არ იქნან რეპრესირებულნი და შეჩერდეს რეპრესიები. ისინი თვლიან, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა. სწორედ ეს სხვაობაა მარგველაშვილის, საზოგადოებისა და დასავლეთის მოთხოვნებს შორის კოჰაბიტაციასთან დაკავშირებით. ამიტომ ეს პროცესი ვერ იქნება მიბმული საპრეზიდენტო არჩევნებზე, რადგან უფრო დიდი იქნება მოსახლეობის მოთხოვნილება, რომ მოხდეს პრეზიდენტობის გარეშე დარჩენილი სააკაშვილის დაპატიმრება ან გასამართლება. საზოგადოება დღეს მაინც ანგარიშს უწევს იმ ფაქტს, რომ სააკაშვილი პრეზიდენტია,“-აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

მისივე თქმით, ყველაფერ ამის გათვალისწინებით, სიტუაცია ვერ დალაგდება და დასავლეთი, მიუხედავად იმისა, რა შედეგით დასრულდება საპარლამენტო არჩევნები, მაინც დასვამს ახალი ხელისუფლების წინაშე საკითხს, რომ კოჰაბიტაციის პროცესი გაგრძელდეს. ამიტომ კოჰაბიტაციის მეორე ტალღა ისევ გველის.

ექსპერტი **კახა კახიშვილი** მიიჩნევს რომ, თუ დავით ბაქრაძეს საარჩევნო შედეგებში დაუფიქსირდება მეორე ადგილი, ეს იქნება კოჰაბიტაციის მორიგი ტალღის დასაწყისი. ამ შემთხვევაში, პროცენტებს დიდი დატვირთვა არ აქვს და, გიორგი მარგველაშვილმა 51 %-იც რომ მიიღოს, ხოლო ბაქრაძემ – 3 % და მაინც მეორე ადგილზე გავიდეს, ნაცმოძრაობა აღნიშნული შემაჯამებელი ოქმით მთელ მსოფლიოს მოირბენს და იტყვის, რომ თურმე მეორე პოპულარული ძალაა საქართველოში და მას ანგარიში უნდა გაუწიოს მსოფლიო თანამეგობრობამ.

გარდა ამისა, კახა კახიშვილის აზრით, თვითონ მეორე ძალის კლასიფიკაციას დიდი დატვირთვა აქვს საერთაშორისო შეხვედრების, მოლაპარაკებების დროს, სადაც, როგორც წესი, რიგით მეორე ოპოზიციური ძალა იღებს მონაწილეობას. აქედან გამომდინარე, თუ ამ არჩევნებში რეალურად მათ დაუფიქსირდებათ მეორე ადგილი, კოჰაბიტაციის მოთხოვნა გაორმაგდება.

**„ეჭვი მაქვს, რომ ეს მოთხოვნა მიღებული იქნება ისე, როგორც კოჰაბიტაციის პირველი ტალღა იქნა მიღებული ჩვენი უმრავლესობის მხრიდან. ამიტომ იმის ილუზია, რომ, თუ ბაქრაძე მეორე ადგილზე გავა, კოჰაბიტაციის ტალღა დასრულდება, მე არ მაქვს, რადგან ჩვენი უმრავლესობა საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნას ვერ გაუძლებს. წესით, პირველი კოჰაბიტაციის ტალღაც არ უნდა მოსწონებოდა „ქართულ ოცნებას“, მაგრამ, თუ პირველი კოჰაბიტაცია მოეწონათ, ალბათ, მეორეც მოეწონებათ. ხოლო, თუ ნაცმოძრაობა ვერ დააფიქსირებს ამ არჩევნებზე მეორე ადგილს, მაშინ გაცილებით სხვა პოლიტიკური გარემო იქნება და ნაცმოძრაობასთან ასეთი კოჰაბიტაცია აღარ იქნება“,** – აღნიშნა კახა კახიშვილმა და უარეს შემთხვევაში, ხალხის მასობრივი პროტესტი ივარაუდა, რასაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა და დასავლეთისგან მოთხოვნილი სამართლიანობის აღდგენის გაორმაგებული დაბრკოლება გაამძაფრებს.



ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლა კი ექსპერტისთვის ნიშნავს, რომ ძალიან მალე ნაცმოძრაობა გაძლიერებულად დახვდება თვითმმართველობის არჩევნებს, ჩამოირეცხავს ცხრაწლიან დანაშაულებს და მმართველ ძალაში მათი დაბრუნების მაღალი შანსი იქნება – ჯერ მინისტრის მოადგილეების დონეზე, შემდეგ ამას მოჰყვება ხელისუფლების უზურპაცია, რაც მათ კარგად იციან და, რაც 2003-შიც განახორციელეს ვარდების რევოლუციის შედეგად.

ექსპერტი **ვანო მაჭავარიანი** თვლის, რომ კოჰაბიტაციის ცნების შესახებ ძალიან არაზუსტი და გამიზნულად არასწორი განმარტებები ვრცელდება, რადგან რეალურად კოჰაბიტაცია მაშინ არის, როდესაც პრემიერი ერთი პარტიიდან გვევლინება, ხოლო პრეზიდენტი -მეორე პარტიიდან და ეს არის საფრანგეთის თუ აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილება. ამ შემთხვევაში, ორივე მხარე თანხმდება, რომ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი იყოფენ ვალდებულებებს და პრეზიდენტი ასრულებს ფუნქციას საგარეო პოლიტიკურ თუ უსაფრთხოების თემებში. შესაბამისად, მარგველაშვილის განცხადება, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის წასვლასთან ერთად სრულდება კოჰაბიტაცია, ვანო მაჭავარიანის აზრით, მართებულია.

**„ის, რომ ნაციონალური მოძრაობა არის საპარლამენტო უმცირესობა და ამ პოზიციებს იგი 27 ოქტომბრის შემდეგაც შეინარჩუნებს, ეს არის პოლიტიკური მოცემულობა. ეს არის საპარლამენტო სისტემა და ამას საერთო არაფერი აქვს კოჰაბიტაციასთან. ეს თემა, ჩემი აზრით, ხელოვნურად გაზვიადებულია და კონკრეტულ მიზნებს ემსახურება, რომ უფრო მეტი სიმძაფრე შეიტანოს პოლიტიკურ პროცესებში. ახლა ამბობენ, დასავლეთმა თავს მოგვახვია კოჰაბიტაციაო. სინამდვილეში, დასავლეთი ჩვენ არაფერს გვთხოვს, ის გვთავაზობს კონკრეტულ გზას, აღმოსავლეთ ევროპასთან ასოცირების წევრობას, გვახსენებს ჩვენს ვალდებულებებს ევროსაბჭოსთან მიმართებით, ასევე, ვალდებულებებს დემოკრატიის კუთხით, ნატოსთან ინტეგრაციის მიმართულებით. ეს ვალდებულებები თვითონ ქართულმა სახელმწიფომ აიღო დასავლური სამყაროს ნაწილად გახდომის მიზნით,“** – აღნიშნა ვანო მაჭავარიანმა.

ამდენად, მისი აზრით, არასწორი ინტერპრეტაციაა, რომ დავით ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში, დასავლეთი ახალ კოჰაბიტაციას მოგთხოვს.

**მანანა ნოზაძე**

№197. შაბათი, 12 ოქტომბერი, 2013 წელი.

**გამოიცა**

**ახლახან დაისტამბა ნაპოლეონ ქარქაშაძის ახალი დოკუმენტური რომანი „სხივი წყვდიადში“ (გამომცემლობა „ივერიონი“, 2013). ავტორს — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსს, საერთაშორისო აკადემიების წევრს, პროფესორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, „საპატიო ნიშნისა“ და ღირსების ორდენის კავალერს, 220-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 5 სახელმძღვანელოს და 4 მონოგრაფიისა — კარგად იცნობს ქართველი საზოგადოებრიობა. ბატონი ნაპოლეონი 1975-1990 წლებში იყო სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი და ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერი აფხაზეთში, 1990-2004 წლებში — საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, 2004 წლიდან — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.**

**სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად იგი ნაყოფიერ სამწერლო და პუბლიცისტურ საქმიანობასაც ეწევა. გამოქვეყნებული აქვს სამი პოლიტიკური რომანი „სტალინი“, „ხრუშჩოვი“, „ბრეჟნევი“.**

**„სხივი წყვდიადში“ მეოთხე დოკუმენტური რომანია, რომელშიც აღწერილია ყველა ის პოლიტიკური მოვლენა და ფაქტი, რომელიც აფხაზეთში ხდებოდა 1975-1990 წლებში, ხოლო საქართველოში 1990 წლიდან დღემდე მიმდინარეობს და რომელთა უშუალო მონაწილეც თვითონ არის.**

**ერთი არსებითი ნიუანსიც — ნაპოლეონ ქარქაშაძე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების რეპრესიების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლია. თითიდან გამოწოვილი ბრალდებით დააპატიმრეს და მთელი 108 დღე ციხე „ახეხინეს“ ხანდაზმულ გამოჩენილ მეცნიერსა და თითით საჩვენებელ მოქალაქეს.**

**ვბეჭდავთ ერთ თავს ნაპოლეონ ქარქაშაძის დოკუმენტური რომანიდან „სხივი წყვდიადში“ (ამ ზაფხულს, წიგნების გამოცემამდე, ჩვენმა გაზეთმა ამ რომანის რამდენიმე თავი).**




# სააკაშვილის

## ფსიქოლოგიური პორტრეტი

გვიანი ღამე იყო, როცა „რევოლუციური სამეული“, კანცელარიის მე-12 სართულზე ავიდა. დერეფანში კანცელარიის უფროსი პეტრე მამრაძე დახვდათ. სააკაშვილმა ჩქარი ნაბიჯებით გაიარა მისაღები ოთახები და პრეზიდენტის კაბინეტის წინ შედგა, ესიამოვნა მოოქროვილ ლითონზე გაკეთებული წარწერა: „საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი“, გაეღიმა და მამრაძის მიერ მოწიწებით გაღებულ კარში პირველი „შევარდა“.

„სამეულმა“ ოთახი შეათვალიერა, მოიხიბლნენ ახალი რემონტით და წითელი ხისგან დამზადებული ავეჯით. ერთ-ერთ კედელზე, შვეიცარიიდან ჩამოტანილი ძვირფასი საათი ეკიდა, მუქი ყავისფერი ტყავისგან დამზადებული რბილი ავეჯი, წესისა და რიგის მიხედვით, გემოვნებით იყო დალაგებული. ოდნავ ოვალურ სამუშაო მაგიდასთან, დიდზურგა სავარძელი იდგა, მოპირდაპირე მხარეს კი ორი ასეთივე, შედარებით პატარა სავარძელი იდგა სტუმრებისთვის.

„რევოლუციური სამეული“ სავარძლებში მოთავსდა.

— დამღლელი, მაგრამ ძალიან სასიამოვნო დღე იყო — ღიმილით თქვა ჟვანიამ და კაბინეტი კიდევ ერთხელ შეათვალიერა.

სააკაშვილს არაფერი უთქვამს, ისიც ახალი კაბინეტის დათვალიერებით იყო „დაკავებული“.

— კარგი და გემოვნებიანი რემონტია — ისევ წამოიწყო ჟვანიამ — ეს, ალბათ, ქალბატონი ნინოს დამსახურებაა. — ბურჯანაძეს ოდნავ შესამჩნევად გაეღიმა.

— თქვენ ახლა განმარტოება გჭირდებათ, თუ ნებას მოგვცემთ ჩვენ დაგტოვებთ — თქვა ჟვანიამ და ფეხზე წამოდგა, სააკაშვილმა „თანხმობის ნიშნად“ ხელი ასწია.

ცუდად ენიშნათ კაბინეტიდან გამოსულებს, სააკაშვილის საქციელი, რომელმაც ისინი საუბრის ღირსადაც კი არ ჩათვალა.

მათი გასვლის შემდეგ, პრეზიდენტი სავარძელში „მიესვენა“ და „ფიქრს მიეცა“. კარგად იცნობდა ორთავეს და იცოდა, რომ ისინი საკუთარი თამაშის წამოწყებას შეეცდებოდნენ, იცოდა, რომ ორივე ჭკვიანი და ძლიერი პიროვნება იყო. არ უნდა მისცეს მათ ამისი უფლება. ძირშივე უნდა აღკვეთოს ამაზე ფიქრიც კი... ახლა მას ისინი უკვე აღარ სჭირდება, სხვები უნდა დაიყენოს გვერდით, რომლებიც მასში პარტნიორს კი არა... „პატრონს“ დაინახავენ. მადლობა ღმერთს, ასეთები ბლომად არიან. სწრაფად ამოტივტივდა მის გონიერებაში მერაბიშვილის, ადეიშვილის, ლომაიას და სხვების უსახური სახეები. ფეხზე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა, გაჩახჩახებულ თბილისს გადახედა.

სულ რამდენიმე საათს მოითვლის მისი პრეზიდენტობა და უკვე იგრძნო ტვირთის სიმძიმე. მიუხედავად ახალგაზრდობისა, ბევრ ჩახლართულ სიტუაციას დააღწია თავი, კარგად ისწავლა პოლიტიკურ ლაბირინთებში სიარულიც, სასურველ შედეგს ყოველთვის უმოკლესი გზით აღწევდა. ენდობოდა მხოლოდ თავის ინტუიციას და თანამოაზრეთა ერთგულების შეფასების თავისი მეთოდი ჰქონდა — ეს იყო უსიტყვო მორჩილება. კარგად იცოდა, რომ პირველკაცობა, დიდი საფრთხის შემცველია, რამდენიმე წუთის წინ კაბინეტიდან ღიმილით გასულ ორ ადამიანს, რომ „ერთი სული ჰქონდათ“, ამ კაბინეტის დაპატრონებამდე, ესეც კარგად იცოდა.

ბავშვობიდანვე ფრთხილი იყო, თავს არიდებდა ძალისმიერ თამაშებს, უპირატესობას სიტყვიერ პოლემიკას ანიჭებდა, სარკის წინ საკუთარ თავთანაც ხშირად კამათობდა ხოლმე. ამის შედეგია ის შემტევი ლოგიკა, რომელსაც პაექრობაში იყენებდა და რომელმაც ამ კაბინეტამდეც მიიყვანა.

კედლის საათს შეხედა, ისრები „ორს“ უახლოვდებოდა, ახლა გაახსენდა, რომ ფაქტობრივად არაფერი უჭამია, თუ არ ჩავთვლით აშშ სახელმწიფო მდივან პაუერთან აეროპორტში წახემსებას... სამუშაო მაგიდასთან მივიდა, მბზინავი მაგიდის მარჯვენა კუთხეში დადგმულ წითელ ტელეფონს „დაადგა თვალი“... იცოდა, რომ ამ აპარატით, პლანეტის ნებისმიერი სახელმწიფოს პირველ პირთან შეეძლო დაკავშირება... სავარძელში ჩაჯდა და ფიქრს მიეცა. ახლა ვაშინგტონში შუადღეა, პრეზიდენტი ბუში, ალბათ, ოვალურ კაბინეტშია, რა იქნება რომ დაურეკოს?! ტყუილად ხომ არ დევს წითელი ტელეფონი მაგიდაზე?! ხელი ტელეფონის ყურმილს დაადო და გაირინდა... გაახსენდა, რომ ძალიან პატარა ქვეყნის პრეზიდენტია... „თუმცა, რა დროს ყოყმანია“?! მან ყურმილი ენერგიულად აიღო და „თეთრი სახლის“ კოდი აკრიფა...

— თქვენ, თეთრი სახლის სატელეფონო ქსელში ხართ, სერ, რით შემიძლია გემსახუროთ, — გაისმა ყურმილში ქალის სასიამოვნო ხმა.

— საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვარ, გთხოვთ შემაერთოთ შეერთებული შტატების პრეზიდენტთან.

— ყურმილი არ დაკიდოთ, სერ — გაისმა დედამიწის მეორე სფეროდან. აღელდა, იგი ხომ მსოფლიოს „ნომერ პირველი“ ქვეყნის პრეზიდენტს ურეკავს. რომ არ უპასუხოს? იქნებ ჯობდა მერე დაერეკა! ან ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვაშინგტონში ჩასვლას დალოდებოდა!.. ოფლმა „დაასხა“... დროზე გაისმა ყურმილში სასიამოვნო ხმა.

— ხაზზეა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, გთხოვთ ილაპარაკოთ, სერ...

— თქვენო აღმატებულებავ... კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ „იქიდან დაასწრეს“...

— ჰელო, მაიკლ, როგორ ხართ, კოუელი მესაუბრა თვითმფრინავიდან, კმაყოფილია. კარგია, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, — გაისმა ყურმილში, ჯორჯ ბუშის მხიარული ხმა.

— მადლობისთვის გირეკავთ, თქვენმა მხარდაჭერამ გადამწყვეტი როლი შეასრულა, ამას ქართველი ხალხი არ დაივიწყებს.

— გადაჭარბებულად აფასებთ ჩვენს როლს. საქართველო საინტერესო ქვეყანაა, იმედია, ჩვენი სტრატეგიული თანამშრომლობა გაგრძელდება, მე დიდ პატივს ვცემ თქვენს ისტორიას, კულტურას, ხალხს...

— მადლობთ კეთილი სიტყვებისთვის, შევეცდები ვიყო თქვენი ღირსეული უმცროსი პარტნიორი... თუ თქვენი სამუშაო გრაფიკი იძლევა საშუალებას, მინდა, ვაშინგტონში გეწვიოთ და დაგიდასტუროთ ქართველი ხალხის ღრმა პატივისცემა.

— ნუ იჩქარებთ, მაიკლ, ჩვენ შეხვედრას ნებისმიერ დროს შევძლებთ. ვფიქრობ, ჯობს ჯერ სამეზობლოში ჩახვიდეთ, საინტერესოდ მეჩენება ვიზიტი რუსეთში — გამოცდილი კაცი იყო ამერიკელი, იცოდა პატარა ქვეყნის ლიდერების ამბიციურობა, სააკაშვილს, რომ დადგენილი ჩარჩოებიდან ამოხტომა შეუძლია, ისიც იცოდა, ასეთი კაცის „სასურველ“ მანძილზე დაყენება რომ აუცილებელია! ესეც... კიდევ ბევრი რამე იცოდა ამერიკის პრეზიდენტმა — წარმატებას გისურვებ მაიკლ, მიგულეთ თქვენს გვერდით, გთხოვთ ჩემი მოკითხვა გადასცეთ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს — დამოძღვრა სააკაშვილი ბუშმა და ტელეფონი გათიშა. არ ესიამოვნა შევარდნაძის ხსენება, დღეს იგი მისთვის მხოლოდ უბრალო პენსიონერია, რომელიც პრეზიდენტის სიმაღლიდან არც კი ჩანს. მიუხედავად ამისა, დაცვის უფროსი მაინც გააგზავნა მასთან და ბუშის მოკითხვა გადასცა.

ბავშვობიდანვე ჩამოუყალიბდა ადამიანებთან ურთიერთობის თავისებური სტილი, რომელიც მისდამი მონურ ერთგულებას გულისხმობდა. პოლიტიკაში ჟვანიამ მოიყვანა, მიუხედავად ამისა, ისიც აითვალისწუნა, მეტოქედ მიაჩნდა და იმიტომ. დღეს ჟვანია მისი მთავრობის პრემიერ-მინისტრია, რომელსაც ერთი ნაბიჯი აშორებს პირველკაცობას. აშინებდა ჟვანიას მებრძოლი ხასიათი, ფაქტობრივად, მან მიიყვანა შევარდნაძე პოლიტიკურ კრახამდე, თავად კი „ცხვირწინ აართვა პრეზიდენტობა“, დარწმუნებული იყო, რომ იგი ამას არ აპატიებდა.

მორჩილი პარლამენტია საჭირო, ბურჯანაძეც უნდა ჩამოაშოროს ჟვანიას, ახალი პარლამენტის არჩევნებამდე კი, შევარდნაძის დროინდელ დამფრთხალ პარლამენტს მიაღებინებს ისეთ კანონებს, რომელიც მის ძალაუფლებას უკონტროლოს გახდის, იცოდა, როგორ მიეხედა საკუთარი თავისთვის და ამაზე ზრუნვა პირველი დღიდანვე დაიწყო.

მობილურის ზარმა შეაწყვეტინა ფიქრი, მეუღლე ურეკავდა... „მოვდივარო“ — უთხრა და ფეხზე წამოდგა.

* * *

სხვისი აზრის მოსმენა არ შეეძლო. თათბირებსა და მთავრობის სხდომებზე მხოლოდ თვითონ ლაპარაკობდა და დასმულ შეკითხვებსაც თვითონვე პასუხობდა. მისი შეხვედრები, სატელევიზიო შოუებს უფრო გავდა, ძნელი საყურებელი იყო თავდახრილი, ყურებჩამოყრილი მინისტრებისა და დეპუტატების ხილვა. საზოგადოება მალევე მიხვდა, რომ პრეზიდენტი არა მარტო უცოდინარი, გაუწონასწორებელი, ზარმაცი და უტიფარია, არამედ ამპარტავანი და საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებულიც.

ერთხანს ტელევიზორში მისი თოჯინაც გამოჩნდა, რომელიც შევარდნაძის თოჯინაზე უფრო სასაცილო იყო. საზოგადოებამ დაინახა, რომ მათ მიერ ზარზეიმით არჩეული პრეზიდენტი, სხვა არფერია, თუ არა ნაცარქექიასა და ყვარყვარეს ყველაზე უარესი ნაზავი.

ცოტა ხანს აბოგინა თოჯინა ეკრანზე, მერე კი... მისი ავტორები ხმაურით ჩასვა ციხეში, თოჯინა კი უკვალოდ გააქრო. საზოგადოება მიხვდა, რომ ის „შევარდნაძე არაა“ და გაიტრუნა.

ეშმაკიც იყო, იცოდა, ვისთვის რა დაევალებინა. ჯერ კიდევ საპრეზიდენტოდ ემზადებოდა, როდესაც ბურჯანაძესა და ჟვანიას ახალი საპარლამენტო სიების შედგენა „სთხოვა“. ფანდი იხმარა, ამით გაიგებდა, თუ ვინ რას აპირებდა მომავალში. შევარდნაძეც ასე აკეთებდა, სხვებს ავალებდა პარლამენტარების შერჩევას, სიებსაც ზერელედ გადახედავდა და თუ რა დამართა ასეთმა გაუფრთხილებლობამ, მთელმა მსოფლიომ დაინახა, ცხადია, თვითონ ასე არ მოიქცევა.

მოგვიანებით, როდესაც პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე კაბინეტში დაიბარა, რამდენიმე წუთით მისაღებში აყურყუტა ისინი, თუმცა, მარტო იყო და ოთახში შესულებსაც ღიმილით შეეგება.

არც ბურჯანაძე და, მით უმეტეს, არც ჟვანია იყვნენ მიამიტები, მიხვდნენ მისაღებში ხუთწუთიანი ყურყუტის მიზანს, მაგრამ იცოდნენ, რომ ხელისუფლებაში ახლახან მოსულებს, ჯერჯერობით ამბიციები უნდა მოეთოკათ.

— ნინო, ალბათ, იცნობთ ამ ადამიანებს, — ჰკითხა ბურჯანაძეს, როდესაც ჟვანიამ სადეპუტატო ადამიანების სია გადააწოდა.

— მხოლოდ მისაღებში გადავხედე, — მშრალად უპასუხა ბურჯანაძემ.

შეიჭმუხნა. მიხვდა, რომ ჟვანია ახალი რაუნდისთვის ემზადებოდა.

— ეს რაღაც ახალია. პარლამენტის თავმჯდომარე შენ უნდა იყო, სიები კი არ გაინტერესებს?! — ეს მარტო მსუბუქი საყვედური არ იყო, სააკაშვილი მასწავლებელივით ტუქსავდა ორთავეს.

— ბატონო მიხეილ, თქვენს გამოძახებას ასე ადრე არ ველოდი, ამიტომ ვერ მოვასწარი სიის სათანადოდ შესწავლა, — თავი „იმართლა“ ბურჯანაძემ.

არაფერი უთქვამს, სიების კითხვა გააგრძელა, სახეზე აშკარად ეტყობოდა უკმაყოფილება, რამდენიმე გვარი გადახაზა კიდეც.

— სიის უმრავლესობა ჩემთვის უცნობია. გარდა გვარსახელისა, ადამიანებს აქვთ დაბადების წელი, პროფესია, ბიოგრაფია და ა. შ. ჩვენ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსთვის ვარჩევთ ხალხს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ სიაში ის ხალხია ჩაწერილი, ვინც გაგახსენდათ?! — სააკაშვილმა ჟვანიას გადახედა.

— მიშა, აქ ის ხალხია, ვინც ქარსა და წვიმაში ჩვენს

გვერდით იდგა, — ჟვანია შეეცადა საუბარი მეგობრულ კალაპოტში მოექცია, ისე როგორც შევარდნაძის დროს აკეთებდა, არ გამოუვიდა.

— რევოლუცია დამთავრდა ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩვენ სახელმწიფოს აშენებაზე უნდა ვიფიქროთ და პარლამენტიც შესაფერისი უნდა გვქონდეს, — ხაზგასმული ოფიციალურობით თქვა სააკაშვილმა და ფურცლები ცხვირწინ აუფრიალა.

ჟვანია გაფითრდა, თვალის გუგები გაუფართოვდა, შევარდნაძეს მისთვის ასეთი რამ არასოდეს უკადრებია, მაშინაც კი, როცა დაპირისპირებული იყო, სააკაშვილმა კი, ფაქტობრივად, სახეში მიაყარა ფურცლები...

— ასაღელვებელი არაფერია, შეგეძლო სხვანაირადაც გეთქვა, — კბილებში გამოცრა ჟვანიამ და ფურცლების აკრეფას შეუდგა. ახალმა პრემიერმა, მაშინ პირველად ინანა შევარდნაძისგან განდგომა.

სამეულის მეორე შეხვედრა ორი დღის შემდეგ შედგა, სააკაშვილმა სიებს ზერელედ გადახედა, „დავიტოვებო“ თქვა და ფურცლები თავის საქაღალდეში ჩააწყო.

— დრო შეზღუდულია, მხოლოდ სამი დღე დაგვრჩა, ცესკოს ნუ დავაყენებთ დარტყმის ქვეშ, — ხმადაბლა თქვა ჟვანიამ.

— ჩვენ კანონს არ დავარღვევით, საარჩევნო კომისია სიებს დროულად მიიღებს, — თქვა და „თანამებრძოლებს“ ჩინოვნიკური ღიმილით დაემშვიდობა.

— მას თავისი სიები აქვს, რომლებშიც აქა-იქ ჩაამატებს ჩვენს მიერ გადაცემულ გვარებს, — უთხრა კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ ჟვანიამ პარლამენტის თავმჯდომარეს.

— შენ სხვაგვარად ფიქრობდი? — გაეპასუხა ბურჯანაძე.

დადგენილი ვადის გასვლამდე სამი საათით ადრე მიიტანეს ცესკოში სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი სიები, თვითონ ბათუმში გაემგზავრა და იქიდან შეეხმიანა „კოლეგებს“.

ორთავე მიხვდა, რომ სააკაშვილთან „წყვილში“ მუშაობა აღარ გამოუვიდოდათ. პრეზიდენტი მათ, როგორც შემსრულებლებს, ისე უყურებდა. ერთმანეთისთვის არ უთქვამთ, მაგრამ მოენატრათ ბუნჩულა კაცი, ედუარდ შევარდნაძე რომ ერქვა... კიდევ ბევრჯერ მოენატრებათ.



* * *

**პრეზიდენტობიდან** ერთი თვის შემდეგ, სააკაშვილმა კანცელარიის სააქტო დარბაზის ფოიეში, პირველი სამთავრობო სპექტაკლი დადგა. მან, პრემიერ-მინისტრის მეთაურობით, მთავრობის წევრები სატელევიზიო კამერების წინ გაამწკრივა, თვითონ სახელდახელო ტრიბუნასთან დადგა და განაცხადა:

— შეხედეთ და დაიმახსოვრეთ; თქვენს წინ საქართველოს მთავრობაა სრული შემადგენლობით. ისინი მდიდრები არ არიან და არც მდიდარი ნათესავები ჰყავთ. თუ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, ისინი ან მათი ნათესავები ქონებას დააგროვებენ, ჩათვლით, რომ ეს კორუფციის შედეგად მიღებული სიმდიდრეა და ასეთები ციხეში წავლენ!

კიდევ ბევრი რამ უთხრა მაშინ მთავრობის წევრებს, პატარა ბავშვებივით დატუქსა პრემიერ-მინისტრიდან დაწყებული ყველა, ისინი კი დუმდნენ. ერთ-ერთი მორიგი სხდომის დროს, მთელი ქვეყნის დასანახად, მთავრობას ცხვირწინ უქნია თითი, არც მაშინ ამოუღია ვინმეს ხმა.

კომიკური იყო მთავრობის ის სხდომაც, როდესაც სააკაშვილმა ღვინო შემოიტანა ბოთლებით და დამფრთხალ მინისტრებს, ძალით დაალევინა, თვითონ კი, მრისხანედ განაცხადა, რომ „არ დაუშვებს ფალსიფიცირებული ღვინით ქართველების მოწამვლას, რომ ამისათვის ყველანი დაისჯებიან“ და ა. შ. პრეზიდენტის სიტყვებზე უფრო ამაზრზენი კი ის იყო, რომ ამდენ მამაკაცში არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც მის ცინიზმზე პროტესტს... ჩურჩულით მაინც გამოთქვამდა.

* * *

**პრეზიდენტად** არჩევიდან რამდენიმე დღეში, ბათუმში ეწვია აბაშიძეს. სწორედ მისი კაბინეტიდან დაურეკა მაშინ თავის კოლეგებს, საარჩევნო სიებთან დაკავშირებით. ღიმილიანი იყო ეს შეხვედრა. აბაშიძემაც შეიფერა და როგორც შევარდნაძის დროს იყო მიჩვეული, სააკაშვილსაც ისე დაუწყო ლაპარაკი. ისიც კი უთხრა, „იმედია, ჩვენი თანამშრომლობა წინანდელზე ნაყოფიერი იქნებაო“. არაფერი უთქვამს, იცოდა, რომ „პატარა კაცუნებს“ ლაპარაკში არ უნდა აჰყოლოდა.

შემდეგ ჩასვლაზე ბათუმში ვარშალომიძე ჩამოიყვანა, მხოლოდ თვითმფრინავის აეროპორტში დაშვების შემდეგ გაიგო აბაშიძემ ამის შესახებ და ტრაპთან ძლივს მიუსწრო პრეზიდენტს. ტრაპიდან ჩამოსულმა სააკაშვილმა, მასპინძელს ხელი ისე ჩამოართვა, რომ მისთვის, არც კი შეუხედავს, დანარჩენებსაც თავის ოდნავი დაკვრით მიესალმა და ახალთახალი „ჰამერის“ უკანა სალონში, ვარშალომიძესთან ერთად დაჯდა.

ნირწამხდარი აბაშიძე ქათამივით დაიბნა და ისღა მოახერხა, რომ დაცვის თანამშრომელივით მძღოლის გვერდით „მოკალათდა“.

— რატომ არ შემატყობინეს, თუ აქეთ მობრძანდებოდით, — ზრდილობისთვის იკითხა ასლანმა.

— ხომ შეგატყობინეს, აბა, ისე როგორ დამხვდებოდი?! — მიუგო და ვარშალომიძესთან გააგრძელა საუბარი.

აჭარის მეთაურის რეზიდენციაშიც, ვარშალომიძესთან ერთად შევიდა, აბაშიძე კი უკან ადიუტანტივით მისდევდა... კაბინეტშიც ისე შევიდა, რომ მისაღებში მოწიწებით მდგარი თანამშრომლებისთვის არც კი შეუხედავს.

ამჯერად აჭარაში გაძლიერებული დაცვით ჩავიდა, რომლებიც რეზიდენციაში ისე განლაგდნენ, როგორც სამხედრო ოპერაციის დროს ხდება ხოლმე. აბაშიძის დაცვაც გაძლიერებული შევიდა შენობაში და სხვადასხვა პოზიციებზე განლაგდნენ. პრეზიდენტის დაცვის ორი თანამშრომელი აბაშიძის მისაღებშიც შევიდა.

— მეგობრებო, აქ ავტომატებით შემოსვლა აკრძალულია, — მორიდებით უთხრა მათ აბაშიძის კანცელარიის უფროსმა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

აბაშიძის კაბინეტში კი ასეთი დიალოგი გაიმართა:

სააკაშვილი — ასლან, ვის ექვემდებარება აჭარაში დისლოცირებული ბრიგადა, რომელსაც გენერალი დუმბაძე ხელმძღვანელობს?

აბაშიძე — ბრიგადა მცირერიცხოვანია და ექვემდებარება საქართველოს პრეზიდენტს და მე...

სააკაშვილი — თქვენ რატომ? მართალია, გენერალი ხართ, მაგრამ ქვეყნის მთავარსარდალი — არა!..

აბაშიძე — ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს შევარდნაძის სპეციალური განკარგულება, აჭარა სასაზღვრო ზონაა და ამანაც განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება.

სააკაშვილი — ეს ანტიკონსტიტუციურია და შევარდნაძემ კანონი დაარღვია.

აბაშიძე — მე ასე არ ვფიქრობ!..

პრეზიდენტმა მისი რეპლიკა „გაატარა“.

სააკაშვილი — რა ესაქმებათ მოსკოვის მერიის თანამშრომლებს, რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე?

აბაშიძე — ისინი მოქმედებენ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. ეს საკითხიც შევარდნაძესთან იყო შეთანხმებული.

სააკაშვილი ვარშალომიძეს მიუბრუნდა:

— ამათ, სანაპიროს ყველაზე კარგი მიწები მოსკოვის მერს მისცეს, — შემდეგ აბაშიძისკენ მობრუნდა და ჯიქურ ჰკითხა — გულახდილად მითხარით, რამდენი გადაიხადა ლუჟკოვმა.

აბაშიძე შეშინებული კი იყო, მაგრამ ღირსებაც ჰქონდა:

— ბატონო პრეზიდენტო, თუ თქვენ თვლით, რომ მე შემიძლია ასეთი რამის ჩადენა, მაშინ რატომ ვსხედვართ ერთად?!

— ჰო, კარგი, მე მხედველობაში ბიუჯეტში შეტანილი ფული მქონდა.

აბაშიძეს არაფერი უთქვამს, მაგრამ სახეზე ისეთი უკმაყოფილება გამოეხატა, მხოლოდ მისთვის რომ იყო დამახასიათებელი.

შემდეგ ბობოყვათის რეზიდენციაში გადაინაცვლეს, მაგრამ საუბარი არც იქ გამოუვიდათ., ვიწრო წრეში ივახშმეს კიდეც.

— ასლან, შენც ჩვენთან დარჩი, ხვალ დილით ადრე მივფრინავ და სალაპარაკო მაქვს, — უთხრა სააკაშვილმა ნირწამხდარ ასლანს.

ცხადია, მიხვდა ასლანი, რომ პრეზიდენტი მას არ ენდობოდა, მეტიც, მისი ეშინოდა. თუმცა, რეზიდენციის შიდა და გარე პერიმეტრი სააკაშვილის დაცვას ჰქონდა დაკავებული. დარჩა იმ ღამეს ბობოყვათში. პრეზიდენტი დილით მართლაც ადრე ადგა, გაშლილი საუზმიდან მხოლოდ კაკაო დალია და ვარშალომიძესთან ერთად აბაშიძის „ჰამერით“ და დაცვით აეროპორტისკენ გაემართა. „ნუ გამაცილებო“, — უთხრა აბაშიძეს და მხარზე პატარა ბიჭივით ხელი მოუთათუნა.

აბაშიძეც და მისი გუნდიც მიხვდა, რომ აჭარაში მათი 13-წლიანი მმართველობა მთავრდებოდა. შევარდნაძეც გაახსენდა, მაგრამ გვიან იყო, ყოვლისშემძლე მმართველი ერთ წუთში არარაობად იქცა.

მოგვიანებით გაბრძოლებაც დააპირა, მდ. ჭოლოქზე ხიდიც ააფეთქა, დუმბაძის ბრიგადა საომარ მდგომარეობაში მოიყვანა, მაგრამ დროზე მიხვდა, რომ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა და მოსკოვიდან გამოგზავნილი თვითმფრინავით აჭარა დატოვა...

მეორე დღესვე ჩავიდა თანმხლებ პირებთან ერთად აჭარაში. დიდი ზარ-ზეიმიც მოაწყო, მსოფლიოს ამცნო „აჭარის გათავისუფლება და საქართველოსთან შეერთება“. „ვაი სირცხვილო, აჭარას გასანთავისუფლებელი რა სჭირდაო“, იტყვის მერე ხალხი, მაგრამ მაშინ, მოზეიმე მიშას სულ ტაშის გრიალით დაჰყვებოდნენ აჭარლებიც და სხვებიც.

საქართველო ხომ სანახაობების ქვეყანაა... სანახაობების დადგმა კი, სააკაშვილმა მართლაც კარგად იცოდა...

**ნაპოლეონ ქარქაშაძე.**

## დედაქალაქი

# ბარათაშვილის „გათვალული“ ქუჩა



**ბევრი ნაკლოვანების მიუხედავად, რომელიც თბილისის განაშენიანებაზე, მოვლა-პატრონობაზე, ეკოლოგიაზე თუ გამწვანებაზე პასუხისმგებელ სამსახურებს მოსდით, დედაქალაქი მაინც დღითი დღე რომ მშვენდება, ყველანი კარგად ვხედავთ. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, არის ერთგვარად მოჯადოებული ადგილები, რომლებსაც ბოლომდე გაკოხტავება არა და არ ეღირსა.**

ერთი ასეთი „გათვალული“ ადგილია ბარათაშვილის ქუჩა, რომელზეც ჯერ იყო და უცხოეთში მამასისხლად ნაყიდი კვიპაროსები ლამის ერთიანად გახმა, რაზეც თავის დროზე დიდი ამბავი ატყდა პრესასა და ტელევიზიის სხვადასხვა არხზე, რის შემდეგაც მერიის მაღალჩინოსნები ყველა საინფორმაციო გამოშვებაში თავს იმართლებდნენ და ხელს ტენდერში გამარჯვებული ფირმისკენ იშვერდნენ, თუმცა კი შედეგი, საბოლოო ანგარიშით, ქალაქმა მაინც „ნულოვანი“ მიიღო.

ცოტა ხნის წინათ კი პუშკინის ქუჩის რეკონსტრუქციის დროს მის გაგრძელებაზე, ბარათაშვილის ქუჩაზე ფეხით მოსიარულეთათვის ლამაზი სკამები დადგეს, რაც იქაურობას დიდად მოუხდა. ახლა კი ვიღაც მტარვალებმა (ამ ხალხისთვის სხვა სახელის გამოძებნა ნამდვილად მიჭირს) ამ სკამებს დასაჯდომი და საზურგე ლარტყები საგულდაგულოდ მოხსნეს — დიახ, სწორედაც მოხსნეს, რადგან ისინი დამტვრეული კი არ არის, ჭანჭიკებით დამაგრებული ბოლოები ჩახსნეს და, ეჭვი არ არის, წასაღებად გაამზადეს — ისეა დაწყობილი ლარტყებიც და თუჯის საყრდენი გვერდებიც.

ეს ქალაქის რომელიმე სპეციალურ სამსახურს რომ გაეკეთებინა, დაშლილ სკამებს იქვე კი არ დატოვებდა, აუცილებლად დაასაწყობებდა, ამიტომ, ეს, უეჭველად, მავანთა ნამოქმედარია. ისმება სავსებით ლოგიკური კითხვა: ერთ სულ მოსახლეზე პოლიციელთა რიცხოვნობით, მათ შორის სადღეღამისო რეჟიმში მომუშავე საპატრულო სამსახურის თანამშრომელთა ჩათვლით, თბილისი, ალბათ, მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქია, ჰოდა, სად არიან ეს ყოჩაღი გოგო-ბიჭები, როცა ვიღაც-ვიღაცები თბილისელთა კუთვნილ ქონებას საკუთარი ადგილ-მამულების დასამშვენებლად ამზადებენ?

# „მაკდონალდსი“ ისე იწერება, როგორც სათაურშია გამოტანილი, ბატონო!

**სწრაფი კვების ცნობილი კომპანიის „მაკდონალდსის“ ობიექტები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია და დიდად პოპულარულიცაა, როგორც ბავშვებში, ასევე უფროსებში.**

გამონაკლისი ამ მხრივ, ცხადია, არც საქართველოა, თბილისში კი „მაკდონალდსის“ საქვეყნოდ ცნობილი ემბლემა რუსთაველისა და მარჯანიშვილის მოედნებზე, ასევე წერეთლის პროსპექტზე სამ კაფეს ამშვენებს. ცოტა ხნის წინათ „მაკდონალდსის“ მარჯანიშვილის მოედანზე კაფეს რეკონსტრუქცია დაიწყო, 11 ოქტომბერს კი იგი ოფიციალურად საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ღონისძიებას კომპანიის საქართველოს ფილიალის თავკაცი თემურ ჭყონია დაესწრო, რომელმაც შემდეგ ბავშვთა სახლებიდან მოწვეული პატარები განახლებულ კაფეში მიიწვია და ფირმის სახელით გაუმასპინძლდა.

„მაკდონალდსის“ ახალი ობიექტი ერთიანად განახლდა, შეიცვალა სამზარეულოს დანადგარები, საკუჭნაოები, საწყობები, გადახალისდა ინტერიერი, გაფართოვდა მეორე სართულის აივანი, ბავშვების ახალ გასართობ ოთახს კი ნაირ-ნაირი სათამაშოები ახალისებს.

ეგ ყველაფერი, ცხადია, კარგია და მისასალმებელი, რომ არა ერთი, ჩვენი აზრით, მეტად საგულისხმო გარემოება. ბუნებრივია, რომ მთელ მსოფლიოში ცნობილი ბრენდის „მაკდონალდსის“ წარწერა კაფეს შენობის თავზეა განთავსებული, მაგრამ ქართულმა წარწერამ განა ისეთი რა დააშავა, რომ სადღაც კუთხეში, ძნელად დასანახ ადგილზე იყოს მიჭუჭყნული? ისე კი, ამ მხრივ, „მაკდონალდსს“ კიდევ რა უჭირს, სხვა მეტად თუ ნაკლებად ცნობილი ფირმები, მათ შორის, ნაირ-ნაირი „მერიოტები“, „სონი“, „რედისონი“, სხვები, თავიანთ ობიექტებზე საკუთარი სახელწოდებების ქართულად გამოტანას საერთოდ არ კადრულობენ!

არ გეკადრებათ, ქართველო ბიზნესმენებო — საკუთარ ენას თქვენ თავადვე თუ არ ეცით პატივი და საკითხი სათანადო დონეზე თუ არ დააყენეთ, უცხოელი პარტნიორები რას დაგიდევენ?

**ნინო ალექსანდრია,**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



## გამოძიება

*სამეგრელოში, საიდუმლო სამალავში აღმოჩენილი წამების ამსახველი ვიდეოფირების საქმეზე დაკავებული ერთ-ერთი პირი კობა თოდუა თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსია. იგი სამეგრელოში წამების ამსახველი ვიდეოფირების აღმოჩენის შემდეგ დააკავეს. თუმცა, გამოძიებას ამ დრომდე არ ჰყავს დაკითხული.*

*გარდა ამისა, ფირზე, რომელიც გამოძიებამ დაცვის მხარეს გადასცა, არც კონდახით ცემის ფაქტი ჩანს, არც თოდუა და არც მისი ხმა, რაც დაადასტურა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ. დაკავებული თოდუა, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას ბიძაშვილია.*

*საქმეში დევს სამი ყოფილი პოლიციელის ჩვენება, რომელთაგან ერთ-ერთი თავად მონაწილეობდა დანაშაულში. ამ პიროვნების მიმართ კი, როგორც თავად დაკავებული for.ge-სთან ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა და გამოძიებას საქმეში მოწმის სტატუსით ჰყავს წარმოდგენილი. ის ამბობს, რომ დაკავებულ პირებთან არანაირი კავშირი არ მაქვს და მათ არ იცნობს.*

*სამეგრელოში საიდუმლო სამალავში აღმოჩენილი წამების ამსახველი ვიდეოფირების საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ადევს, შესაბამისად გამოძიება საქმის დეტალებზე არ საუბრობს. როგორც ცნობილია, საქმეზე სულ დაკავებულია 9 პირი, მათ შორის არიან: შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სამი მოქმედი თანამშრომელი გოჩა შონია, მარლენ ხვიტია, გურამ ჭითანავა.*

*დაკავებულებს შორის არიან ზუგდიდის პოლიციის ყოფილი უფროსი რუსლან შამახია, თავდაცვის სამინისტროს მოქმედი თანამშრომელი კობა თოდუა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხედრო პოლიციის ყოფილი თანამშრომლები გიორგი ბულია, ირაკლი ახალაია, პაატა ქირია, გიორგი გულია და თემურ უბირია. შსს-ს ცნობით, ვიდეომასალაზე აღბეჭდილ პირებზე სექსუალურ ძალადობას უშუალოდ ახორციელებდა თემურ უბირია.*

*გამოძიების ვერსიით, ზემოთ აღნიშნული პირები დაკავებულების წამებასა და მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში მონაწილეობდნენ. ბრალდებული პირების იდენტიფიცირება სამეგრელოში შენიღბულად მოწყობილ სპეციალურ სამალავებში აღმოჩენილი ვიდეოფირების საშუალებით მოხდა. ამავე სისხლის სამართლის საქმეებზე დადგენილია შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნების — მეგის ქარდავას, კოხტა კოდუასა და დავით ჩაგინავას ბრალეულობა. გამოძიების ინფორმაციით, კოხტა კოდუა და დავით ჩაგინავა, ამჟამად, საქართველოში არ იმყოფებიან, მათზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება. მეგის ქარდავა ინტერპოლის წითელი ცირკულარით უკვე იძებნება.*

# კობა თოდუა:

# მზად ვარ მე და ჩემი ოჯახი სასამართლოს ნაცვლად, ხალხმა გაგვასამართლოს

**— რას უკავშირებთ თქვენს დაკავებას?**

— ჩემი დაკავების კონკრეტული მიზეზი უცნობია. თუმცა, ფაქტია, რომ ჩემს მიმართ პროკურატურა მიზანმიმართულად მოქმედებს და ცდილობს არარსებული ქმედების ჩადენაში დამადანაშაულოს. 16 სექტემბრის დადგენილებით დამემატა 138-ე მუხლი სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებაში დახმარება, რაზეც მტკიცებულება არ არსებობს.

**— არის რამდენიმე ვერსია და მათ შორის რუსული ვერსია, თითქოსდა მათი დაინტერესება იყო თქვენი დაკავება. თუ ეს ვერსია სანდოდ მიგაჩნიათ, იქნებ განმარტოთ, რატომ?**

— გამიჭირდება ერთი კონკრეტული ვერსიის დადასტურება. რუსული ვერსია აქტუალურია და ამის შესახებ ინფორმაცია მოიპოვება აფხაზური მედიის ვებგვერდებზეც. ეს იმის გამო ხდებოდა, რომ სპეცსამსახურს ვხელმძღვანელობდი. ჩემი მოქმედება გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა რეგიონში რუსულ და აფხაზურ სპეცსამსახურებს. ამიტომაც აღნიშნული სპეცსამსახურები ცდილობდნენ ჩემს განეიტრალებას.

**— რა კავშირი გაქვთ სხვა დაკავებულებთან, თუ გქონდათ მათთან სამსახურებრივი კავშირი, ან თუ იცნობთ მათ?**

— დაკავებულ პირებთან არანაირი კავშირი არ მაქვს. თქვენ წარმოიდგინეთ, მათ არ ვიცნობდი და არც სამსახურებრივი შეხება მქონია. მათგან მე ვიცნობ მხოლოდ სამეგრელოს რეგიონის კუდ-ის ყოფილ უფროსს. ჩემს გარდა ყველა დაკავებული შსს-ს ყოფილი თუ მოქმედი თანამშრომელია და მათთან რაიმე სამსახურებრივი ურთიერთობა არ მქონია. მხოლოდ იშვიათად ხდებოდა ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრა.

**— ამ საქმეში ფიგურირებს მეგის ქარდავა, გქონდათ ქარდავასთან სამსხურებრივი შეხება და ზოგადად რა ურთიერთობა გქონდათ მასთან?**

— ქარდავასთან სამსახურებრივ საკითხებზე მქონია შეხვედრა. ეს ხდებოდა იშვიათად, რადგანაც ქარდავა შსს-ს სისტემაში მუშაობდა, ხოლო მე — თავდაცვაში. მასთან პირადი ან მეგობრული ურთიერთობა არ მქონდა და არც მქონია.

**— რაც შეეხება დაზარალებულ პირებს, თუ იცნობთ მათ? ერთი მთავარი მოწმე, ვინც თქვენს წინააღმდეგ გამოდის — ბალოიანი ამბობს, თითქოს, თქვენ მიხვედით დანაშაულის ადგილას და მონაწილეობას იღებდით თავისუფლების უკანონო აღკვეთაში და წამებაში, კერძოდ, მისი განცხადებით, იარაღის კონდახით სცემდით დაზარალებულ პირებს. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— დაზარალებულ პირებს არ ვიცნობ, მათი ვინაობა დაკავების შემდეგ გავიგე. ისინი არასოდეს მინახია. ბალოიანი ჩემს საქმეში მთავარი მოწმეა. მე ბალოიანს არ ვიცნობ და არც რაიმე კავშირი მქონია მასთან. ბალოიანი უშუალო მონაწილეა ამ საქმეში და პროკურატურამ ჩემს წინააღმდეგ გამოიყენა ცრუ ჩვენების მისაცემად, რაც დასტურდება იმით, რომ ის დღემდე პასუხისგებაში არ არის მიცემული. რაც შეეხება იარაღის კონდახით ცემის ფაქტს, ასეთი რამ ვიდეოფირებში არ არის ასახული და არც დაზარალებულები უთითებენ თავიანთ ჩვენებაში ამ ფორმით ცემის შესახებ.

**— ფაქტია, რომ დაზარალებულები ხელს არ გადებენ, თუმცა ხელს გადებენ დაკავებული პოლიციელები. როგორ ფიქრობთ, რამ აიძულა ეს პოლიციელები თქვენთვის დაედოთ ბრალი, იქნებ დეტალურად გვითხრათ, რა ხდება?**



— დაზარალებულები ხელს არ მადებენ იმის გამო, რომ არ ვიყავი იმ პერიოდში სამეგრელოს რეგიონში და არ მიმიღია მონაწილეობა მათ მიმართ რაიმე უკანონო ქმედების ჩადენაში. პოლიციელთა ბოლო ჩვენება იქიდან გამომდინარეობს, რომ როცა პროკურატურამ ნახა, რომ არ არსებობდა ჩემი დანაშაულებრივი ქმედების დამადასტურებელი მტკიცებულება, რჩებოდა ერთადერთი გზა — მოწმეთა ჩვენებით გაემყარებინათ საქმე.

ამის სანაცვლოდ, პროკურატურამ პოლიციელებს წამების ბრალდება მოუხსნა (მათ შორის იმათაც, რომლებიც დაზარალებულებმა ამოიცნეს და ექსპერტიზამაც დაადასტურა მათი მონაწილეობა) და საბოლოოდ, თუ ჩვენებას მყარად დაადასტურებენ სასამართლოზე, დროზე ადრე გათავისუფლდებიან საპროცესო შეთანხმებით. პოლიციელთა ბოლო დაკითხვები მაშინ მოხდა, როცა ექსპერტიზიდან ჩემი მონაწილეობის შესახებ უარყოფითი პასუხი მიიღეს. სასწრაფოდ მესამედ და მეოთხედ დაკითხეს პოლიციელები მაშინ, როცა გამოძიებას მე ერთხელაც არ დავუკითხივარ.

**— ექსპერტიზა ჩაუტარდა გამოძიების მიერ ამოღებულ დისკს, სადაც ასახულია სწორედ იმ ორი დაზარალებული პირის უკანონო დაკავება და წამება. ამ დისკის ექსპერტიზის შედეგად თქვენ იქ არ აღმოჩნდით. ამის მერე გამოძიებამ აგიღოთ ხმის ნიმუშები, მოახდინეს თქვენი ფოტოგრაფირება, არც ხმის ნიმუშის შედეგად არ დადასტურდა თქვენი მონაწილეობა იმ კადრებში, რაც გამოძიების მიერ იყო წარმოდგენილი. თუმცა, ამის მიუხედავად, ბრალი დაგიმძიმეს. დაგემატათ 138-ე მუხლი სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებაში დახმარება. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— ბრალის დამძიმება პროკურატურის ერთგვარი ხერხია (რითაც ის გარკვეულ ფონს ქმნის სასამართლოსთვის) და ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდია. ამ ფაქტს ვერანაირ ლოგიკურ ახსნას ვერ უპოვი. რა უნდა უწოდო ამ ფაქტს, როცა იმათ, ვინც დაზარალებულმა ამოიცნო და უჩვენა, რომ აწამებდნენ, ექსპერტიზამაც დაადასტურა მათი მონაწილეობა და მიუხედავად ამისა, თვითნებურად წამების ბრალდებას უხსნი, ხოლო მე კი მიმძიმებ?! ამით ყველაფერი ნათქვამია.

**— როგორც თქვენი ადვოკატი განმარტავს, პროკურატურამ თქვენ თანამშრომლობა შემოგთავაზათ. რა სახის თანამშრომლობაზე იყო საუბარი?**

— ეს მოხდა დაკავების დღეს, თუმცა თემები არ დაკონკრეტებულა. მე მოვითხოვე, შეეწყვიტათ ყოველგვარი მსგავსი საუბარი და განემარტათ, რის გამო ვიყავი დაკავებული. ამის შემდეგ დამემშვიდობნენ და მითხრეს, 10 წელი ოჯახს ვერ ნახავო და გადამიყვანეს დროებითი დაკავების იზოლატორში.

**— რა არის იმის მიზეზი, რომ თქვენ გამუდმებით გიმძიმებენ ბრალს, რა ინფორმაციის მატარებელი შეიძლება იყოს კობა თოდუა და რამდენად მნიშვნელოვანია ეს გამოძიებისთვის?**

— არ ვიცი, რა რატომ ხდება ეს ყველაფერი. რაიმე მინიშნება ან შეტყობინება მე არ მიმიღია. თუმცა, რაღაც მიზეზი რომ არსებობს, ფაქტია. სხვაგვარად ვერ აიხსნება პროკურატურის ასეთი მიზანმიმართული ქმედებები. რა უნდა აინტერესებდეთ ჩემგან, არ ვიცი. მე მხოლოდ ჩემს სამსახურებრივ საკითხებზე შეიძლება მქონდეს ინფორმაცია, რაც ჩემს სამსახურში ისედაც ყველამ იცის.

**— სად იყავით იმ დროს, როცა ის პირები უკანონოდ დააკავეს და რითი ადასტურებთ თქვენს უდანაშაულობას? ამის მტკიცებულება არის საქმეში?**

— რა თქმა უნდა, არის და ეს პროკურატურამაც მშვენივრად იცის. იმ დროს მე ვიყავი თბილისში, კერძოდ — თავდაცვის სამინისტროში, რაც დასტურდება სამსახურში არსებული მონაცემებით. კერძოდ, სამსახურში შესვლა-გასვლა ფიქსირდებოდა თითის ანაბეჭდებით. ეს ინფორმაცია ინახება თავდაცვის სამინისტროში და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გამოითხოვოს იგი. ეს არ არის ვინმეს ჩვენება ან განმარტება, არამედ ეს არის სპეციალურ აპარატზე დაფიქსირებული მონაცემები, რომლის გაყალბებაც შეუძლებელია. მე მჯერა, რომ ობიექტური სასამართლოს შემთხვევაში დადასტურდება ჩემი უდანაშაულობა. სხვა შემთხვევაში მზად ვარ ჩემი სიმართლე დავამტკიცო სხვა ინსტანციებში და არ გამოვრიცხავ, მომიწიოს ჩემი საქმის წარმართვა სტრასბურგის სასამართლოში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ თუ წამებაში, ან ცემაში ჩემი მონაწილეობა დადასტურდება, მზად ვარ მე და ჩემი ოჯახი სასამართლოს ნაცვლად, ხალხმა გაგვასამართლოს.

**თამთა ქარჩავა**

## დედამიწის ზურგზე



**ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია გახდა**

ნორვეგიის ნობელის კომიტეტი წელს ლაურეატს 259 კანდიდატიდან ირჩევდა. პრეტენდენტების ასეთი ოდენობა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოზე ჩვენს პლანეტაზე გახდა აბსოლუტური რეკორდსმენი მისი არსებობის 112 წლის განმავლობაში. თანაც ტრადიციის მიხედვით სახელები და სახელწოდებები, რომლებიც შორტ-ფურცელში იყო, საიდუმლოა: 2013 წლის სიას საიდუმლოების გრიფი მოეხსნება მხოლოდ 50 წლის შემდეგ.

* * *

**აშშ-ში გარდაიცვალა პირველი ასტრონავტების „შვიდიანიდან“ მეექვსე**



სკოტ კარპენტერი 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. 1962 წლის მაისში იგი გახდა მეორე ასტრონავტი, რომელმაც შეასრულა ორბიტალური კოსმოსური გაფრენა „მერკურის“ სერიის ხომალდზე, და მეოთხე ამერიკელი კოსმოსში. ახლა ცოცხალია მხოლოდ ჯონ გლეინი, რომელიც ამჟამად 92 წლისაა.

* * *

**მალავის პრეზიდენტმა, რომელმაც მოშიმშილეთა გულისთვის თვითმფრინავი გაყიდა, დაითხოვა მთავრობა კორუფციის გამო**



მინისტრთა კაბინეტის დათხოვნის მიზეზი აღმოჩნდა კორუფციული სკანდალი, დაკავშირებული დაბალი თანამდებობის ჩინოვნიკებთან, რომლებზეც ეჭვი აქვთ, რომ ღებულობდნენ ქრთამებს. პრეზიდენტი ჯოის ბანდა ცნობილია თავისი მომჭირნე პოლიტიკით — ამ ქალბატონმა გაყიდა პრეზიდენტის თვითმფრინავი, რათა გამოეკვება მოშიმშილენი მალავიში.

* * *

**უკრაინაში ერთი დღე-ღამეა ეძებენ ბავშვს, რომელიც კანალიზაციაში ჩავარდა**

საგანგებო შემთხვევა მოხდა ხუთშაბათს დილით, როდესაც ბიჭუნა თავის ტყუპისცალთან ერთად ბებიამ სასეირნოდ გამოიყვანა. როდესაც ბავშვმა ლუკს დაადგა ფეხი, მისი სახურავი გადაბრუნდა და პატარა კანალიზაციაში ჩავარდა. მაშველები არ გამორიცხავენ, რომ ბავშვი შეიძლება წაეღო დინებას საგანგებო შემთხვევის ადგილიდან 15 კილომეტრზე — წყლის სიჩქარე კანალიზაციაში წამში 2 მეტრს შეადგენს.



◉ ეკონომიკური პარალელები




# ნაცების ინფრასტრუქტურული გადაცდომები

**საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარებას, რასაც მთავრობა ამჟამად ყველანაირად ცდილობს. ამ ეტაპზე მისი უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რადგან ახლო მომავალში ევროკავშირთან ვაჭრობის ასეთივე პრეფერენციებს (შეღავათებს) უკრაინა და მოლდოვაც მიიღებენ, ამდენად რეგიონში გაზრდილი კონკურენციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის აუცილებელი პირობებია შესაქმნელი, მათ შორის, უწინარესად, ლოგისტური სისტემების და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, აგრეთვე საბაჟო და სასაზღვრო პროცედურების გამარტივება.**

აღნიშნულ საკითხებზე ამჟამად ინტენსიურად იღვწის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, ხოლო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სპეციალისტები კონკურენტუნარიანობის პროგრამის ფარგლებში მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან თანამშრომლობენ. საგულისხმოა, რომ **ახლო მომავალში, მსოფლიო ბანკის კონსულტანტთა მეთვალყურეობით, დაგეგმილია კონკურენტუნარიანობის განვითარების საბჭოს შექმნა, რომელსაც უშუალოდ პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს.** მისი ეგიდით შემუშავდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, ასევე დაინერგება კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშემწყობი რეგულაციები და განხორციელდება სათანადო ღონისძიებები ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საჭირო ინვესტიციების მოსაზიდად. ერთი კია: აღნიშნულის ეფექტიანად განსახორციელებლად, რაზეც, საბოლოო ანგარიშით, სასურველი შედეგის მიღწევა იქნება დამოკიდებული, მთავრობას ძალიან მცირე დრო აქვს, რასაც პირდაპირ აღნიშნავს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი.

მისი აზრით, ქვეყანაში **ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება, უწინარესად, პოლიტიკური დაძაბულობის შედეგია,** რომელმაც ინვესტორები, ეგრეთ წოდებულ „მოლოდინის რეჟიმში“ გადაიყვანა. ასევე უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკის მართვისა და კოორდინირების სისტემების ნაკლოვანებებმა. საქმე ისაა, რომ ეკონომიკის ფისკალური სტიმულირება დროულად არ მოხდა, თუმცა კი ეს ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მხრივ წარმოშობილმა პრობლემებმა განაპირობა. კერძოდ, **ბევრი ტენდერი მნიშვნელოვანი დარღვევებით ჩატარდა, რომლებშიც ზოგჯერ ფიზიკურად არარსებული, უკვე გაკოტრებული კომპანიები იმარჯვებდა, ანდა სამუშაოები დამტკიცებული პროექტისა და სათანადო ნებართვების გარეშე მიმდინარეობდა (?!)** ყოველივე ამან ფისკალური სტიმულირების პროცედურები გაახანგრძლივა და მისი შეფერხება გამოიწვია, რაც მიმდინარე წლის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე გაგრძელდა. ვითარება უკეთესობისკენ წლის მეორე ნახევრიდან შეიცვალა, ამდენად მეოთხე კვარტლის დასრულებამდე ჯერჯერობით გაჩერებული პროექტები გაგრძელდება.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ნახსენებ უწყებათაშორის კომისიას, რომელსაც, ოფიციალურად, „პრობლემური ინფრასტრუქტურული პროექტების კომისია“ ეწოდება, მეტად რთული გადაწყვეტილებების მიღება უხდება, რაც ერთი უწყების იურისდიქციის ფარგლებში ვერ მოხერხდებოდა. საქმე ისაა, რომ შარშანდელ ოქტომბრამდე, ნაცმოძრაობის ხელისუფლების პირობებში, **ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი ყოველგვარი იურიდიული საფუძვლის გარეშე, უშუალოდ სიტყვიერი დავალების შესაბამისად ხორციელდებოდა (?!), კომპანიები, თავის მხრივ, კომერციული ბანკების წინაშე ვალდებულებებს კისრულობდნენ, რომლებსაც, დამკვეთისგან (ანუ ნაცმენების მთავრობისგან) ხარჯის ანაზღაურების გარეშე ვერ ისტუმრებდნენ, აქედან ყველა გამომდინარე შედეგით — „შავ სიაში“ მოხვედრით, გაკოტრებით...** ამდენად, ქართული ოცნების მთავრობას მრავალ ასეთ ინფრასტრუქტურულ პროექტთან დაკავშირებით, ელემენტარულად... ვალები დახვდა გადასახდელი, რის გაკეთება, ხელის ერთი დაკვრით, ცხადია, შეუძლებელი იყო. გამოსავალი იმაში მოინახა, რომ დაიწყო ალტერნატიული ექსპერტიზების ჩატარება, რომელთა შედეგად ხარჯიც ნაზღაურდება და, გარკვეულწილად, მრავალი საპრობლემო საკითხიც თანდათან წყდება.

უნდა ითქვას, რომ პრობლემური ინფრასტრუქტურული პროექტების კომისიის წევრებს უმეტესწილად ურთულესი იურიდიული გადაწყვეტილებების მიღება უწევთ, რაც, უპირველესად, ბიზნესის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით უამრავი პრობლემის გადაჭრასთანაა დაკავშირებული. ამ მიმართულებით, როგორც უმაღლესი რანგის ჩინოსნები, ასევე სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი, ნაცმოძრაობის „მემკვიდრეობაა“... გასასტუმრებელი, რომელიც ასე მონდინებით იბრძვის ხელისუფლების მთლად სათავეში მოქცევას თუ არა, ყოველ შემთხვევაში მის სიახლოვეს დარჩენას მაინც: ყრილობებსაც მართავენ და 24-საათიან რეჟიმში ახალი ხელისუფლების ლანძღვაში არიან, რომელიც ისევ მათი კუდების გასწორებასა და რომ იტყვიან, ჩასვრილი საქმეების გამოსწორებას ბოლომდე ცდილობს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## განცხადება
### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თეიმურაზ ჭყოიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** გარდაბანი, ასათიანის ქ. №4, სართული 5, ბინა №29, ფართი 41.80კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 81.15.09.157.01.029);
2. **უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით;
3. **უძრავი ქონების საწყისი ფასი:** 3451,93 ლარი, პლიუს სპეციალისტის მომსახურების საფასური – 138,08 ლარი;
4. **აუქციონის დაწყების დრო:** 2013 წლის 30 ოქტომბერი, 15:30 საათი;
5. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;
6. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თეიმურაზ ჭყოიძე (პირადი №12001005077), მისამართი: გარდაბანი, ასათიანის ქ. №4, სართული 5, ბინა №29;
7. **მოვალეები:** ნიკოლოზ ჭიჭინაძე (პირადი №12001019640), თეიმურაზ ჭყოიძე (პირადი №12001005077) და რამაზ თევდორაშვილი (პირადი №12001001677);
8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;
9. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

***ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2013 წლის 30 ოქტომბერს, 15:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.***

## განცხადება
### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს აკაკი ჭანყოშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

10. **უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქ. რუსთავი, მესხიშვილის ქ. №5, სართული 7, ბინა №139, ფართი 55.03კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 02.04.02.002.01.139);
11. **უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით;
12. **უძრავი ქონების საწყისი ფასი:** 14577.17 აშშ დოლარი, პლიუს 590 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 993,24 ლარი;
13. **აუქციონის დაწყების დრო:** 2013 წლის 30 ოქტომბერი, 16:00 საათი;
14. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;
15. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** აკაკი ჭანყოშვილი (პირადი №35001051512), მისამართი: ქ. რუსთავი, მესხიშვილის ქ. №5, სართული 7, ბინა №139;
16. **მოვალე:** აკაკი ჭანყოშვილი (პირადი №35001051512);
17. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;
18. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

***ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2013 წლის 30 ოქტომბერს, 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.***

ფეხბურთი

## მერე რა, რომ ასეთი შემოდგომაა?




**ქი არის ნათქვამი, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო, მაგრამ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების გადამკიდეებს, უკვე დღესვე — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის ჯგუფური ტურნირის მეორე სათამაშო დღის შემდეგვე შეგვიძლია საშუალედო დასკვნა გამოვიტანოთ: რაც ალხანაა (ანუ ქვეყნის ეროვნული ნაკრები), იგივეა მისი უახლოესი რეზერვი (ანუ ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილი გუნდი).**

**საქართველო — ჰოლანდია 0:6.**

სიმართლე გითხრათ, ძალიან შემეცოდა მასპინძელთა სახელოვანი თავკაცი, რომელსაც „ჯვაროსანი“ კოლეგისგან განსხვავებით, თავმოყვარე პიროვნებად იცნობს საზოგადოება.

სხვათა შორის, „გავრილოვიჩმა“ ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად 5 მოიერიშე შეგირდი გაამწესა, რაც ანტიფეხბურთის მეხოტბე თემურ ქეცბაიას ფონზე ზღაპრულ ფუფუნებას ჰგავდა, მაგრამ ამით ბევრი არაფერი შეცვლილა — საერთო სურათი, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, სავალალოა და მის გამოსწორებას, ალბათ, თაობათა და, უპირველესად, მენტალიტეტის ცვლა დასჭირდება.

**შოტლანდია — სლოვაკეთი 2:1.**

**14 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხის სტადიონი. საქართველო — შოტლანდია.**

**გიორგი შოთაძე**

ჭიდაობა

## მსოფლიოდან - რვა მედლით




**ვეტერან მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს წლეულს სარაევომ (ბოსნია) უმასპინძლა. შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ფალავნებმა, რომლებმაც სამი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. თავისუფალ ჭიდაობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა აკაკი კუნჭულია (63 კგ). ჩვენებურმა ზედიზედ სძლია ამერიკელ რაიან უვარს (8:0) ბელარუს ვაძიმ ტოზიკს (7:0), რუს ბინეგერ ძანკეზოვს (8:1) და ჩემპიონობა მოიპოვა. ამავე წონაში მესამე ადგილზე გავიდა ბორის ფიცხელაური. გივი ქენქაძემ (69) და ახმედ არაქიძემ (76) მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს, შესაბამისად, რუს ზაკლი ბიკბულატოვსა და უკრაინელ სოსლან ადირხაიევთან და მეორე ადგილებს დასჯერდნენ.**

„კლასიკოსთაგან“ გამორჩეულად იჭიდავეს ზურაბ წიქარიძემ (97) და თამაზ გოგელიამ (130), რომლებმაც მიზნის მისაღწევად ოთხ-ოთხი მეტოქე ჩამოიშორეს გზიდან: წიქარიძეს შვედი ტომას ლარსენი არ გამოუცხადდა, რუს სერგეი უსტინოვსა და ამერიკელ ოქტავიუს ბელამის ერთნაირი ანგარიშით (7:0) მოუგო, ხოლო პოლონელ რაფაელ კოზცოვსკის 6:0 აჯობა; გოგელიამ კი მონგოლი ბაიანმუნკ შურა (9:2), თურქი აჰმეტ დერე (7:0), რუსი სერგეი ფონარევი (4:0), უნგრელი დიულა პაპი (6:0) დაჯაბნა და, წიქარიძის მსგავსად, პირველი ადგილი დაიკავა. ესტატე გოგლიჩიძე (130) ფინალში რუს ალექსანდრ კრასანოვთან დამარცხდა და მეორე იყო, ხოლო ლევან მეხეშიძეს (69) ბრინჯაო ერგო.

**ლექსო ცინცაძე**

განსჯა

**ქართული საზოგადოების ნაწილი ხელისუფლებას მოუწოდებს სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადოს. მთავრობა პოზიციის გადახედვას არ ჩქარობს, ბოიკოტირების საკითხზე კი ონლაინ ხელმოწერები გროვდება და ამ დროისთვის პეტიციას შვიდი ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.**

**მათი შეფასებით, დაუშვებელია სოჭის ოლიმპიადაში ქვეყნის მონაწილეობა მაშინ, „როდესაც, რუსეთის ხელისუფლება სისტემატურად 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას არღვევს და საოკუპაციო ზოლის გადმოწევას ახდენს“.**

**პეტიციის ავტორები არ გამორიცხავენ, რომ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირების მოთხოვნით სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის, მშვიდობიანი აქციებიც დაიგეგმოს.**

**თუ რას ფიქრობენ ხელისუფლებაში სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირების საკითხზე, for.ge პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს შოთა ხაბარელს ესაუბრა:**



## შოთა ხაბარელი: ქართული სპორტი საერთოდ რომ არ მოვსპოთ

**— ხელისუფლება აპირებს თუ არა სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის საკითხს გადახედოს?**

— ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას. თუ თამაშების პოლიტიზება მოხდება, როგორც ეს რამდენიმე დღის წინ რუსეთმა გააკეთა, ქართული მხარე საკითხს გადახედავს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. რაც შეეხება ბოიკოტს, ეს თემა ძალიან მტკივნეულია. ვიცი, თუ რას გრძნობენ სპორტსმენები და მწვრთნელები. 80-იანი წლები მახსენდება, როდესაც თამაშებისთვის ვემზადებოდით. 1984 წელი ურთულესი იყო, როცა საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში წასვლაზე უარი განვაცხადეთ. თამაშებამდე ერთი თვე იყო დარჩენილი, როცა გვითხრეს, ვერ წავიდოდით. მაშინ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს სანქციები არ გამოუყენებია, რადგან ეს პირდაპირ ასოცირებული იყო პოლიტიკურ პროცესებთან. აქედან გამომდინარე, თამაშებში ბევრმა ქვეყანამ მონაწილეობა არ მიიღო. მაშინ ეს პროცესები ბოიკოტის რეჟიმით დამთავრდა, მაგრამ მერე შეთანხმდნენ, რომ პროტესტის ეს ფორმა ყოვლად მიუღებელია. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ეს არის მშვიდობისა და მეგობრობის დამყარების ორგანიზაცია და ბოიკოტის გამოცხადება სწორი არ იქნება. ვფიქრობ, რომ პოლიტიკა და სპორტი ერთმანეთისგან გამიჯნული უნდა იყოს, თუმცა, რაღაც დოზით, სპორტი ასოცირებულია პოლიტიკასთან.

**— ანუ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა უნდა მივიღოთ?**

— თამაშებში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მივიღოთ, თუ გავაცნობიერებთ იმას, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ბოიკოტს.

**— რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს?**

— ძალიან ცუდი შედეგები. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა, შესაძლოა, გადაწყვეტილება გამოიტანოს, რომ საკუთარი რიგებიდან საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი გარიცხოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთ ოლიმპიადას გამოვტოვებთ ანუ თამაშებში მონაწილეობას რვა წელი ვერ მივიღებთ, ეს კი ქართული სპორტის განვითარებისთვის მტკივნეული იქნება.




**— თუმცა, საქართველო პროტესტს უცხადებს არა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, არამედ რუსეთს. ქართული საზოგადოება აპროტესტებს ოკუპაციას, ჩვენს ტერიტორიებზე ახალი მავთულხლართების გაბმას და ა.შ. ანუ ეს პოლიტიკურ საკითხად არ აღიქმება?**

— ამ შემთხვევაში პროტესტს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ვუცხადებთ და ისევ პოლიტიკურ ჭრილში გადავდივართ. ამ საკითხს სხვა მხრიდან უნდა შევხედოთ და უნდა ვეცადოთ, რომ უარესი სიტუაცია არ მივიღოთ. ის ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ, რომ სპორტს თავისი დანიშნულება აქვს და ეს პოლიტიკურ ჭრილში არ უნდა გავიტანოთ. მავთულხლართებისა და მეჩირაღდნე „გმირის“ ფაქტორი ძალიან კარგად მესმის, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ცალსახად გამოაცხადა, რომ ამ თამაშების პოლიტიზება თუ მოხდება, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

**— შესაძლოა ეს გადაწყვეტილება ბოიკოტი იყოს?**

— საზოგადოების განწყობა გასაგებია, მაგრამ ჩვენც საზოგადოების ნაწილი ვართ. ამ საკითხზე ხელმოწერების შეგროვება მიმდინარეობს, მაგრამ ცივი გონებით უნდა ვიფიქროთ. აღელვებულ ნიადაგზე წარმოებულმა რიტორიკამ რა მოგვიტანა, ვიცით. პატარა ქვეყანა ვართ და საკუთარ თავს თავად უნდა მოვუფრთხილდეთ. თუ იმ ხიდსაც ჩავტეხთ, რომელიც ნელა-ნელა აღდგენის პროცესშია, რთულ პროცესებში შევალთ. რუსეთთან ურთიერთობა რამენაირად უნდა დავიწყოთ და გადაწყვეტილება ცხელ გულზე არ უნდა მივიღოთ.

**— თქვენ საუბრობთ იმაზე, ბოიკოტის შემთხვევაში ქვეყანას თუ რა სანქციებს დაუწესებენ, მაგრამ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობით რას მივიღებთ?**

— პოლიტიკურად ვერანაირ დივიდენდებს ვერ მივიღებთ, მაგრამ ბოიკოტით ქართული სპორტის განვითარებას დავაზიანებთ. თუ იმას გავითვალისწინებთ, ამ ცხრა წლის განმავლობაში ქართულმა სპორტმა თუ როგორი უკუსვლა განიცადა, მივხვდებით, რომ ზომიერები უნდა ვიყოთ. ამ პროცესებით ბევრი დაზარალდა და უნდა ვეცადოთ, რომ ქართული სპორტი საერთოდ არ მოვსპოთ.

**— როგორც მწვრთნელი მიიჩნევთ, რომ ბოიკოტი არ უნდა გამოვაცხადოთ, მაგრამ როგორც დეპუტატი და მოქალაქე არ ფიქრობთ, რომ საკითხის პოლიტიზებას თავად მოსკოვი ახდენს. არ ფიქრობთ, რომ მეჩირაღდნედ აგვისტოს ომის „გმირის“ დაყენება უკვე პროვოკაციაა?**

— დასაფიქრებელი ისაა, თუ ვის აწყობს ეს პროვოკაცია. ეს სპეციალიურად წამოწეული თემაა და ამას ანალიზის გაკეთება სჭირდება. ეტყობა, ეს სადღაც დაიგეგმა და ამ პროცესს ზუსტი განსჯა სჭირდება.

**თეონა მანაგაძე**

სამბო

## ჩოხოსნებმაც იყოჩაღეს

**24 ქვეყნის 250-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა ბულგარულ ბურგასში გამართულ ვეტერან სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატში. გამარჯვებულები და პრიზიორები ექვს ასაკობრივ კატეგორიაში გამოვლინდნენ. შეჯიბრებაში სამი ქართველი ფალავანი ჩაება და სამივე შინ მედლებით დაბრუნდა.** 39-წლამდელებში ყველა მეტოქე დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ომარ მეტრეველი (მძიმე წონა). მსგავს წარმატებას მიაღწია 49-წლამდელებში თემურ გიორგაძემ (62 კგ), რომელმაც ვეტერანებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მეშვიდედ მოიპოვა. თანაგუნდელთა მიღწევამდე ერთი გამარჯვებაღა დააკლდა 55-წლამდელებში ბესო მიქელთაძეს (მძიმე წონა), რომელმაც ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლს დაყაბულდა. ტურნირის საუკეთესო მსაჯად ოთარ ყურაშვილი დაასახელეს. საქართველოს დელეგაციას დავით ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა.



**გივი გაგუა**

**სურათზე: თემურ გიორგაძე.**

ინტერნეტიდან

## რობერტი და ანა

**ცნობილი პოლონელი შემტევის რობერტ ლევანდოვსკის ცოლი ანა სტაჩურსკა პოლონეთში ცნობილი ძიუდოისტი ქალია. თავის დროზე ანას ევროპის ქალთა ჩემპიონატზეც უპირველია და სპორტულ კარიერას დღესაც ძველებურად თავდაუზოგავად აგრძელებს.**

ანას და რობერტს ერთმანეთი გერმანიაში, მიუნჰენის ცნობილ ლუდის ფესტივალ „ოქტობერფერსტზე“ სრულიად შემთხვევით გაუცვნიათ და აგერ უკვე ხუთი წელია, ერთად არიან. მათი ჯვრისწერა ვარშავის ცნობილ კათედრალში შემდგარა. შეგახსენებთ, რომ ეს ის ტაძარია, სადაც თავის დროზე რომის პაპი იოანე-პავლე მეორე ატარებდა წირვებს.

რობერტ ლევანდოვსკი და მისი ძიუდოისტი ცოლი, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად განსხვავებულ სპორტის სახეობებში გამოდიან, ხშირად ერთად ვარჯიშობენ და მათი სპორტული ცხოვრების წესი, ჭეშმარიტად სამაგალითოა.



**ვიტალი ჯაფარიძე**

**ნაპრეზიდენტალს**

## მიძღვნებული სიტყვა

ჩვენგან წაღლეტილ
გროშებით
თუმცა შეცვალე დროშები,
მაგრამ წავიდა დრო შენი
და ვერ გიშველის
ბრბო შენი!

**ალექსანდრე შენგელია**
ქ.ქუთაისი

**წერილი რედაქციას**

## საპრეზიდენტო მარათონი

**ყველა, ვინც საპრეზიდენტო მარათონშია ჩართული და საქართველოს მოსახლეობას საგამოცდო პირობებს უყენებს, ვისაც სურს გამარჯვება ამ მარათონში ვეუბნებით: ჩვენ თქვენი მხოლოდ დაპირებები არ გვინდა, ჩვენ მას დავუჭერთ მხარს, ვინც საქართველოს სიძულვილისგან დაიხსნის და მეგობრობას დაამკვიდრებს ყველა მათთან, ვისაც საქართველო უყვარს...**

**თენგიზ თომაძე**
კულტურის დამსახურებული მუშაკი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

**ვითარება**

# ყელში ამოსული ამბავი

**ნებისმიერი სახის საქმიანობაში მეტ-ნაკლებად სერიოზული პრობლემები პერმანენტულად ყველგან წარმოიშვება ხოლმე, ამდენად კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზებიც კარგადაა ცნობილი. ამ მხრივ, ცხადია, არც სამამულო ბიზნესია გამონაკლისი — ბოლო დროს რამდენიმე საფირმო სავაჭრო ქსელს, მათ შორის საქართველოში ჰიპერმარკეტების პირველ კომპანიას „გუდვილსა“ და მის ცენტრალიზებულ საწარმო „მარშეს“ პროდუქციის მიმწოდებლებთან სოლიდური დავალიანებები დაუგროვდა, რის გამო კომპანიებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართეს მათი გადახდისუუნაროდ გამოცხადების თხოვნით, რომელიც სასამართლომ დააკმაყოფილა.**

აღნიშნულთან დაკავშირებით „გუდვილისა“ და „მარშეს“ მმართველებმა ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნეს, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო კომპანიები რეაბლიტაციის რეჟიმში განაგრძობენ მუშაობას.

**„...როგორც შესაბამისი იურიდიული პროცედურები მოითხოვს, ჩვენ გადახდისუუნაროდ გამოცხადების თხოვნით საქალაქო სასამართლოს მივმართეთ. რომელმაც მიმართვა დააკმაყოფილა. ჩვენი ერთგული მომხმარებლების, პარტნიორი მომწოდებლების და, ასევე, საზოგადოდ, ქართული ბიზნესის მდგომარებით დაინტერესებული საზოგადოების საყურადღებოდ ამთავითვე გვინდა მკაფიოდ და ცალსახად განვაცხადოთ, რომ ეს არ ნიშნავს „გუდვილისა“ და „მარშეს“ გაჩერებას, პირიქით, ეს არის არსეუბული ვითარებიდან ყველაზე ნაკლებად მტკივნეული და რაციონალური გამოსავალი“, — ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში.**

„გუდვილისა“ და „მარშეს“ გადახდისუუნარო კომპანიებად გამოცხადების მიუხედავად, ისინი რეაბილიტაციის რეჟიმში მუშაობას განაგრძობენ და მომხმარებელს ჩვეულებრივად ემსახურებიან. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის რეჟიმში მუშაობა მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პარქტიკაა, რამაც არაერთ საკმაოდ წარმატებულ კომპანიასაც მოუწია. მისი არსი ისაა, რომ **გადახდისუუნარო სუბიექტები პროდუქციის მომწოდებლებისა და კომბანკების არსებულ ვალებს აღიარებენ, ხდება მხოლოდ მათი რესტრუქტურიზაცია, გარვეულ ნაწილებად დანაწევრება, რომლებიც დროის დათქმულ მონაკვეთებში უნდა დაიფაროს**. ამასთან, საგულისხმოა, რომ „გუდვილისა“ და „მარშეს“ სავაჭრო თუ საფინანსო პარტნიორების უმრავლესობა გაგებით მოეკიდა გარემოებათა გამო იძულებით გადადგმულ ნაბიჯს და საქმიან ურთიერთობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს.

ერთობ საყურადღებოა „გუდვილისა“ და „მარშეს“ ფინანსური პრობლემების წარმოშობის მიზეზები, რომლებმაც 2004 წელს ბაზარზე გამოჩენისთანავე, დიდი წარმატებით დაიწყეს მოღვაწეობა და მოსახლეობაში მეტად პოპულარულნიც გახდნენ.

**„...ჩვენ კომპანიას არაერთხელ მოუხდა ისეთი არამიზნობრივი ხარჯის გაწევა, რომელიც არანაირი ლოგიკით არ ჯდებოდა კომპანიის ბიზნეს-ინტერესებსა და განვითარების სტრატეგიაში. საერთო ჯამში, ამ ხარჯის მთლიანი მოცულობა 30 მილიონ ლარს აჭარბებს. სხვადასხვა ეტაპზე ასეთი მძიმე გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა საჭირო, რადგან სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა არა თუ ბიზნესის განვითარებაზე ზრუნვა, არამედ მისი შენარჩუნებაც კი, რომ არაფერი ითქვას ბიზნესის მფლობელთა და ტოპ-მენეჯერთა თავისუფლებასა და უსაფრთხოებზე. ამ ერთგვარი ხარკის გაღებით მოხდა ის, რომ კომპანიებმა შეძლეს არსებობა“.**



რას იტყვით, პატივცემულო მკითხველო, რომ საგულისხმო ამონარიდია? ამჟამად ქვეყანაში არსებულ ვითარებაში, როცა მართლმსაჯულების ისედაც თვალახვეულ ქალღმერთს თან ეგრეთ წოდებული კოჰაბიტაციის ლიბრიც აქვს გადაკრული, მეტის თქმა, უბრალოდ, აზრსაა მოკლებული. ხოლო თუ ვის და როგორ შეეძლო 2004 წლიდან მოყოლებული ძლიერი, წარმატებული კომპანიებისთვის ამ ოდენობით „არამიზნობრივი ხარჯის გაწევის“ იძულება, რაზეც უარის თქმის შემთხვევაში „შეუძლებელი იქნებოდა არა თუ ბიზნესის განვითარებაზე ზრუნვა, არამედ მისი შენარჩუნებაც კი, რომ არაფერი ითქვას ბიზნესის მფლობელთა და ტოპ-მენეჯერთა თავისუფლებასა და უსაფრთხოებაზე“, ყველასათვის კარგადაა ცნობილი და იმდენად ყელში ამოსული ამბავია, რომ მასზე ლაპარაკის არავითარი სურვილი არა გვაქვს.

ცალკე აღსანიშნავია „გუდვილის“ ცენტრალიზებული, თანამედროვე ტექნოლოგიებით და ინფრასტრუქტურით აღჭურვილი, მსოფლიოში სადღეისოდ მიღებული ყველა სტანდარტების შესაბამისი, სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი საწარმოს ამბავი, რომლის განვითარებას ფინანსურმა „პარსვებმა“ უაღრესად ცუდი დაღი დაასვა. **„საბედნიეროდ, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესში ჩარევა და ბიზნესიდან სახსრების „ქირურგიული წესით“ ამოღება მოსალოდნელი აღარ არის“,** — ეს იმედიანი სიტყვებიც კომპანიების ერთობლივი განცხადების ამონარიდია. მასში ასევე გამოთქმულია ახლადშექმნილი თანაინვესტირებისა და საპარტნიორო ფონდებთან საქმიან ურთიერთობათა დამყარების იმედი, რის მეშვეობით წარმოქმნილი პრობლემები დროულად გადაიჭრება.

**ოთარ მერიშვილი**

**ეს უნდა გაითვალისწინოთ!**

# ყავა ბავშვებმა 16-მდე... და მოზარდებმა 35-40 წლამდე უმჯობესია არ სვან?

**ასეთი დასკვნა გიჩნდება ადამიანს ამერიკელი მეცნიერების ახალი დიდი გამოკვლევის შესწავლის შემდეგ.**

**ყავა სულ უფრო პოპულარული ხდება. ძლიერი ტრანსეროვნული კომპანიები აქტიურად უწევენ პროპაგანდას თავად სასმელსაც და ყოველივე იმას, რაც მასთან არის დაკავშირებული. ადრე ყავის შესახებ ვსაუბრობდით ჩვენ სახლებში დილით, რომ გამოვფხიზლებულიყავით, ახლა კი ყავას ლამის ყოველ კუთხეში გვთავაზობს უამრავი ყავახანა. ყავის აპარატი ბევრ საზოგადოებრივ ადგილშია. ხომ კარგია ჩაისუნთქო მაგარი სურნელი და „გამოაფხიზლო“ გონება! შედეგად ბევრი ყავას მრავალჯერ სვამს დღის განმავლობაში.**

### ბოროტების სიყვარული...

როდესაც ამერიკელმა მეცნიერებმა თვალყური გაადევნეს კავშირს ყავასა და ჯანმრთელობას შორის, მათ ჯერ შენიშნეს მხოლოდ ოდნავი გაზრდა სიკვდილიანობისა იმ მამაკაცებს შორის, რომლებიც კვირაში საშუალოდ 28 ფინჯან ყავას სვამდნენ (ე.ი. დაახლოებით 4 ფინჯანი დღეში). მაგრამ როდესაც დაიანგარიშეს, თუ როგორ არის დამოკიდებული სიკვდილიანობა ასაკთან, თმები ყალყზე დაუდგათ: 55 წლამდე მამაკაცებში იგი 56 პროცენტით მაღალი იყო, ქალებში კი — ორჯერ ცოტა მეტიც. 55 წლის შემდეგ ყველაფერი ნორმაში ჯდებოდა, პენსიონერებს კი უკვე არაფერს ვნებდა. როგორ ავხსნათ ეს? და ღირს განა ვენდოთ მას, ადრე ხომ მკვლევარები ძალიან ხშირად ავლენდნენ ყავის დადებით ეფექტებსაც?

ამ გამოკვლევის უგულებელყოფა არ შეიძლება, იგი მეტად სერიოზული და მასშტაბურია — თვალყურს ადევნებდნენ დაახლოებით 44 ათას მამაკაცსა და ქალს 16 წლის განმავლობაში. მაგრამ ადრე ყავა ითვლებოდა მავნედ ხანდაზმულებისთვის, მათ ხომ აქვთ მაღალი წნევა, გულთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც კოფეინმა შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს?! აქ კი უცბად ირკვევა, რომ სასმელი განსაკუთრებით მავნეა 55 წლამდე ადამიანებისთვის?

ეს ყოველივე მოგვაგონებს სურათს ალკოჰოლთან დაკავშირებით: ისინი, ვისთვისაც იგი განსაკუთრებით საზიანოა მემკვიდრეობითობის გამო, მაგრამ მაინც სვამენ, დიდხანს ვერ ცხოვრობენ. ისინი კი, ვინც ალკოჰოლისადმი საკმაოდ მყარია, ღრმა მოხუცებულობამდე ცხოვრობენ და, მართალია, ისინი განსაკუთრებული ჯანმრთელობით არ გამოირჩევიან, მათი დაავადებანი ფატალური არაა.

როგორც ჩანს, ყავასთან დამოკიდებულებაშიც ადამიანები ორ კატეგორიად იყოფიან. ერთთათვის იგი უფრო მავნებელია (ასეთები, ცხადია, ბევრი იყო მათ შორის, ვინც გამოკვლევაში მონაწილეობდა და 55 წლამდე ვერ იცოცხლა), სხვებისთვის კი ყავა უვნებელია ან სასარგებლოც კია (იხ.ინფოგრაფიკა), და მათ შეუძლიათ სვან იგი კმაყოფილებით ხანდაზმულ ასაკშიც.



### ოდნავ უკეთესი, ვიდრე ალკოჰოლი

მეცნიერები, რომლებმაც გამოკვლევა მოაწყვეს, ასევე ფიქრობენ ყავის ნეგატიური მოქმედება ზოგიერთ ადამიანზე ახსნან გენეტიკური წინასწარი განწყობილებით, ნივთიერებათა ცვლის თანდაყოლილი თავისებურებებით, რაც დაკავშირებულია კოფეინის ან ყავაში არსებულ სხვა ნივთიერებათა გადამუშავებასთან. ეს ნივთიერებანი კი ამ სასმელში დაახლოებით ათასია. მათ შორის არიან სასარგებლონი, როგორც, მაგალითად, ქლოროგენის მჟავა, რომელიც იცავს სისხლძარღვებს და წინააღმდეგობას უწევს კიბოს ზოგიერთი სახეობის განვითარებას. მაგრამ არის ზიანის მომტანიც, და ეს არა მხოლოდ კოფეინია, რომელსაც შეუძლია ასწიოს წნევა, დააჩქაროს გულის რიტმი და გამოიწვიოს არითმია, გაზარდოს კუჭში სიმჟავის გამომუშავება. ყავაში ძალიან ბევრია აკრილამიდის კანცეროგენი. პლუს, ყავა ზრდის სისხლში ჰომოცისტეინის დონეს, რომელიც, ქოლესტერინის მსგავსად, ხელს უწყობს სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის განვითარებას. ერთი სიტყვით, ყავა — ესაა კოქტეილი სასარგებლო და მავნე კომპონენტებით, და რომელ მათგანს მივყავართ ვადამდელ გარდაცვალებამდე, კიდევ შესასწავლია.

მიუხედავად ამისა, ყავა, რასაკვირველია, არ არის ისეთი ტოქსიკური, როგორც სპირტი. მათზე კი, ვისთვისაც ყავა მავნეა, იგი მოქმედებს არც ისე მკვეთრად: სერიოზული პრობლემების გაჩენისთვის ის უნდა სვა მრავალი წლის განმავლობაში და ბევრი. ამიტომ მეცნიერები გვირჩევენ, არ დავიწყოთ „სასიყვარულო რომანი“ ყავასთან ახალგაზრდობაში. იქნებ არც ღირდეს მასზე უარის თქმა — რაც არ უნდა იყოს, სასმელი მართლაც სასიამოვნოა, თუმცა მისი სმა საჭიროა ზომიერად — ერთი, მაქსიმუმ ორი ფინჯანი, და არა ყოველდღე.

მაშ რომელ ასაკში არ მოგვიტანს ყავა ზიანს? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 35-40 წლის შემდეგ ამ სასმლის ნეგატიური მოქმედება, ზოგიერთს რომ გვარში უწერია, ძალას კარგავს. თუმცა სარგებელი მისგან ძნელად რომ იყოს — მხოლოდ კმაყოფილება.

### ყავის სარგებელი და ზიანი

- **ამცირებს კიბოს შემდეგ სახეობათა რისკს: საშვილოსნოს, მკერდის, პროსტატიტის, ღვიძლის, კანის.**
- **გვიცავს ღვიძლის ციროზისგან და ქვებისგან ნაღვლის ბუშტში.**
- **ზრდის გულის რიტმის მძიმე დარღვევების რისკს.**
- **ხელს უშლის დაფეხმძიმებას და ზრდის მუცლის მოშლის რისკს.**

***შენიშვნა: ბოლო გამოკვლევით, ყავა არ უნდა მივიღოთ ახალგაზრდა ასაკში მთელ რიგ დაავადებათა პროფილაქტიკისთვის.***

ХОРОВЬЕ

**შვილი მანანა ჭკუასელი, რძალი ლალი ებრალიძე, სიძეები თემურ გვენეტაძე, კოკა ზურებიანი, შვილიშვილები ავთანდილი, ნათია, ნიკოლოზი, შვილთაშვილი მანანა ბობოხიძე, მაზლი სამსონ ჭკუასელი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ლილი ჩხარტიშვილი-ჭკუასელი**

**პანაშვიდი 11, 12 X, 17 სთ. გამოსვენება 13.X. 14 სთ. მისამართი: კ. კეკელიძის 21, II სართული.**

**ინფორმაცია**

## ჩოკუტაევზე ძებნა წითელი ცირკულარით გამოცხადდება

**ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განუცხადა.**

**მინისტრის ინფორმაციით, შს სამინისტრო ამჟამად პროკურატურასთან ერთად ინტერპოლისთვის მასალებს ამზადებს.**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ე.წ ჯიჰადის ვიდეოს საქმე გახსნილად 3 ოქტომბერს გამოაცხადა. უწყების ინფორმაციით, საქმეზე ბრალდებული ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევია, რომელიც ამჟამად საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება და სოხუმში მობილური კავშირგაბმულობის ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს.**

**სამარ ჩოკუტაევს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად დაუსწრებლად პატიმრობა შეუფარდა.**

## დღესასწაული



# სვეტიცხოვლობა

**14 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს საუფლოისა კვართისა და ღვთაებრივ ბრწყინვალე მირონმდინარე სვეტისა ბრწყინვალე დღეს, ასევე მცხეთობა-სვეტიცხოვლობას, საფარველისა ყოვლადწმინდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა მარიამისა, მოციქულთა სწორისა, მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი, წმიდისა სიდონიასი, აბიათარ მღვდელისა — უარყოფილისა, საქართველოს პირველ კათოლიკოს-პატრიარქისა, სვეტიცხოვლის განმაახლებლისა, წმინდისა მელქისედექ პირველისა.**

...სვეტიცხოველი — საქართველოში არსებულ სიწმინდეთა შორის ყველაზე დიდი სვეტიცხოველია!

სვეტიცხოველი არის აგებული იმ პატარა ხის ეკლესიის გარშემო, რომელიც აქ, ამ მადლმოსილ მიწაზე, IV საუკუნეში აუგიათ.

მისი მშენებლობისას ერთი სვეტი თურმე ვერაფრით ვერ ჩაუსვამთ, მხოლოდ წმინდა ნინოს ლოცვით ანგელოზმა ზეცად აიტაცა სვეტი, მერე კი ის ღვთაებრივი ნათლით შემოსილი ნელ-ნელა დაეშვა დაბლა და ზუსტად იმ ადგილას გაჩერდა, სადაც უფლის კვართია დაფლული.

**გიული ლიპარტია**

## ვულოცავთ!

# 14 ოქტომბრიდან მწყობრში ჩადგება ახალი ტელეარხი „ქართული“

თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მეტ-ნაკლებად გარდა „ერთსულოვნებისა“, ჩვენ ჭეშმარიტად ქართული ტელეარხი არა გვაქვს, რომელიც ქართულ სულს ეროვნული ცეცხლით გააღვივებდა და ქართულ ღირებულებებს კიდევ უფრო ღირსეულად წარმოაჩენდა. ჩვენი საზოგადოება დღესდღეობით ფაქტობრივად, სატელევიზიო იდეოლოგიურ-პოლიტიკური წნეხის ქვეშ იმყოფება, რაც, რასაკვირველია, უარყოფითად აისახება ჩვენი მაყურებლის ფსიქოლოგიაზე.

**და აი 14 ოქტომბერს, ზედ სვეტიცხოვლობის დღეს, სახელწოდებით „ქართული“ ჩვენს ისედაც მომრავლებულ მედიასივრცეს შეემატება კიდევ ერთი ახალი ტელეარხი.**

იმედია, ტელეარხი „ქართული“ უწინარესად გაამართლებს თავის სახელწოდებას და, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ჭეშმარიტად ქართული საქმის კეთებით დაკავდება.

ვულოცავთ „ქართულის“ ჟურნალისტებს პირველი ლამაზი დღის დაწყებას. სვეტიცხოვლის მადლი არ მოგკლებოდეთ, მეგობრებო.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# ჟურნალ-გაზეთებიდან



### სახელმწიფო ქურდულ სამყაროსთან ბრძოლას ახალი მეთოდებით იწყებს

სკოლაში მოსწავლეები ახალ საგანს შეისწავლიან, სადაც ქურდული სამყაროს უარყოფით მხარეებს, საკუთარი უფლებებისა და პრობლემების კანონიერად მოგვარების საკითხებს გაეცნობიან. პროექტი სკოლების უმეტეს ნაწილში უკვე ხორციელდება და წლის ბოლომდე საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლას მოიცავს, მათ შორის არაქართულ სკოლებსაც. სასწავლო კურსს, რომელსაც სამოქალაქო განათლების მასწავლებელი სამართალდამცავებთან ერთად ჩაატარებს, მეშვიდე კლასში — სამართლიანი კულტურის საწყისები და მეცხრეში — სამართლებრივი კულტურა ჰქვია.

**„რეზონანსი“**

### „კოდორის ხეობაში რუსების შეჩერების უფლება ვანო მერაბიშვილმა არ მოგვცა“

სასაზღვრო პოლიციის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსი კახა ხანდოლიშვილი ვანო მერაბიშვილის იმ განცხადებას ეხმიანება, რომლის თანახმადაც, თითქოს 2008 წლის აგვისტოს ომში, სასაზღვრო პოლიციის ყოფილმა უფროსმა ბადრი ბიწაძემ მის დაქვემდებარებაში მყოფი ძალების ომში ჩართვაზე უარი განაცხადა. კახა ხანდოლიშვილი ვანო მერაბიშვილის ამ განცხადებას სიცრუეს უწოდებს და აცხადებს, რომ ომის ერთ დღეში წაგება, სწორედ პროფესიონალი სამხედროების იგნორირებისა და მერაბიშვილის უნიჭობის შედეგი იყო. „მხოლოდ 9 აგვისტოს, როდესაც ომი უკვე წაგებული იყო, გადააბარა მერაბიშვილმა ხელმძღვანელობა სამხედროებს და კონფლიქტის ზონიდან შსს-ს ყველა დანაყოფი გაიყვანა, თუნდაც ომში სამარცხვინო წაგებისთვის იმსახურებს მერაბიშვილი გლდანში ყოფნას“, — აცხადებს ხანდოლიშვილი.

**„ახალი თაობა“**

### „ლევან თედიაშვილი გაუბედურებულ მდგომარეობაშია, ნუთუ შეიძლება ასე არ დააფასოს ერმა?“

სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 5-გზის მსოფლიო ჩემპიონი ლევან თედიაშვილი გაჭირვებასა და სიღარიბეში ცხოვრობს, რასაც აღშფოთება მოჰყვა. მოკლედ, „იუთუბიზე“ გავრცელდა ვინმე ანას მონოლოგი, რომელიც ამბობს, რომ ლევან თედიაშვილის მომვლელია და მასთან ერთად ცხოვრობს საგარეჯოში. „თქვენ, ქართველებს, ყველაზე მეტად შეგიძლიათ ქართველის მოკვლა, ლევან თედიაშვილი 8 თვეა არ სვამს, ის ძალიან გაუბედურებულ მდგომარეობაშია, ვის არ მივმართე, რომ მისთვის ეშველა, სპორტის მინისტრს ყიფიანს დავურეკე და ტელეფონი გამითიშა, რომ გაიგო რასთან დაკავშირებით ვრეკავდი. ნუთუ შეიძლება, 5-გზის მსოფლიო ჩემპიონი არ დააფასოს ერმა?!“

**„ალია“**

## თქვენთვის, გურმანებო

# აში პარმანტიე

**აში პარმანტიე ფრანგულ სამზარეულოს მიეკუთვნება და კარტოფილისა და ხორცის ფარშისგან მზადდება. მისი სახელი მომდინარეობს აფთიაქარისა და ნუტრიციონისტის, ანტუან პარმანტიეს გვარიდან, HACHIS კი აღნიშნავს კერძს, რომლის ინგრედიენტებიც დანაწევრებულ-დაქუცმაცებულია.**

**ეს კერძი ძალიან ადვილად მზადდება. შესაძლებელია ყველა ინგრედიენტის წინასწარ (წინა დღით) გაკეთება და უშუალოდ მირთმევამდე 30 წუთში მომზადდეს. ყველისა და სანელებლების რაოდენობა გემოვნებით განვსაზღვროთ.**



### საჭირო მასალა

1 კგ კარტოფილი
500 გ საქონლის ფარში
2 თავი ხახვი
1 მოზრდილი სტაფილო
ყველი გრუიერი ან სულგუნი
დაფნა
3 ს.კ. კარაქი
რძე პიურეს ჩასაზელად
მუსკატის კაკალი
შავი პილპილი, მარილი გემოვნებით

### მომზადება

გაფცქვნილი და დაჭრილი კარტოფილი მოვხარშოთ.

პარალელურად საშუალო სახეხზე გახეხილი სტაფილო და წვრილად დაჭრილი ხახვი მოვშუშოთ, დავუმატოთ ფარში და განვაგრძოთ შუშვა, სანამ ხორცი მომზადდება და წვენს დაიშრობს. ბოლო ეტაპზე დავუმატოთ დაფნის ფოთოლი, რომელსაც შემდეგ ამოვიღებთ. შევაზავოთ მარილით და პილპილით.

კარტოფილისგან მოვამზადოთ პიურე, დავუმატოთ კარაქი და რძე გემოვნების მიხედვით, მაგრამ ძალიან არ გავათხელოთ. შევაზავოთ მარილით და მუსკატის კაკლით. ძალიან უხდება მუსკატი, მაგრამ ბევრი არ არის საჭირო, რადგან მძაფრი სანელებელია.

საშუალო სიდიდის ტაფას ცხიმი მოვუსვათ, ჩავდოთ ნახევარი პიურე. შემდეგ გავანაწილოთ ზედ ფარში და ისევ პიურე, თავზე მოვაყაროთ ყველი და შევდგათ 220-230 გრადუსზე გახურებულ ღუმელში. ვაცადოთ, სანამ ყველი დადნება და მოიბრაწება.

მზა კერძი ცოტა გავაგრილოთ და დავჭრათ. მივირთვათ რაიმე ფრეშ სალათთან ერთად. ძალიან გემრიელია.

## ცინცხალი ანეკდოტები

**— არა, ძმაო, ბანდიტი მირჩევნია ცოლს, — ეუბნება ჭიჭიკია ძმაკაცს.**

**— რეიზა, სიმონ?**

**— კაცო, ბანდიტი გეუბნება ან ფული, ან სული! აირჩევ მაინც. ცოლი კი ორივეს გთხოვს.**

* * *

**ჭიჭიკია მეძავს ეკითხება:**

**— უკაცრავად, ქალბატონო, თქვენ ინტიმურ კავშირს ფულის გამო ამყარებთ?**

**— არა, როგორ გეკადრებათ!**

**— შენ აგაშენა ღმერთმა, კიდევ კარგი, თორემ ფული არ წამომიღია...**

* * *



**ჭიჭიკია ნაზიკიას:**

**— გუშინ დაგინახე, მანქანაში ვიღაც კაცს კოცნიდი, ვინ იყო?!**

**— რა ფერის მანქანა იყო?..**

* * *

**მიხო მკითხავთან.**

**— მე ბევრი დაკარგული ადამიანი დამიბრუნებია საკუთარ სახლში, თქვენ ვინ დაკარგეთ?**

**— დაკარგვით არავინ, სიდედრი ცხოვრობს ჩემთან და დააბრუნეთ საკუთარ სახლში, თუ შეგიძლიათ.**

* * *

**მიხო ეუბნება თავის ქალიშვილს:**

**— მიხარია, შვილო, მიტუაანთ კოლამ შენი ხელი მთხოვა.**

**— არა, მამი, მე დედას ჯერ ვერ მოვშორდები.**

**— ნუ მოშორდები, მამა გენაცვალოს, თან წაიყვანე...**

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24